K 216.627
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ. ბერიძეიშვილი

თურქეთის 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალების მოკლე ისტორია

„მეცნიერება"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ოთარ გიგინეიშვილი

თურქეთის 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალების მოკლე ისტორია

„მეცნიერება"
თბილისი
1989

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც მოახდინა თურქეთში 1960 წლის მაისში შეიქმნილ ოფიცერთა ჯგუფმა გენერალ ჯემალ გიურსელის მეთაურობით, თურქეთის XX საუკუნის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. გადატრიალების შედეგები დღეკანდლამდე ახდენენ გავლენას თურქეთის როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკაზე. ნაშრომში მოკლედ არის განხილული ამ სახელმწიფო გადატრიალების ისტორია და დახასიათებულია მთავარი მომქმედი პირები.

რედაქტორი: ისტ. მეცნ. კანდ. ნ. კ ო მ ა ხ ი ძ ე
რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტ. შ. კ ე რ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი
ისტ. მეცნ. დოქტ. გ. ჭ ი პ ა შ ვ ი ლ ი

2 0503010000 / М 607(06)-89 89 რეზ. © გამომცემლობა "მეცნიერება", 1989

ISBN 5-520-00695-4

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

K 216 627
3 ტომ.

თურქეთში ხშირად გაიგონებთ: "ჩვენს ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება ხდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ". ამას ისე ხშირად იმეორებენ, რომ ხალხმაც იწამა და ამჟამად ბევრი მართლაც დარწმუნებულია, რომ თურქეთს ახალი სამხედრო გადატრიალება ელის 1990-1991 წლებში. სახელმწიფო გადატრიალებები და რევოლუციები არ იყო უცხო თურქეთის რესპუბლიკის წინამორბედი ოსმალეთის იმპერიისათვის. ფადიშაჰების, ანუ როგორც ჩვენ მათ ვუწოდებთ, სულთნების ტახტიდან ჩამოგდება არცთუ იშვიათი იყო. სახელმწიფო გადატრიალებები და რევოლუციები მე-20 საუკუნის თურქეთისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 1908 წელს მოხდა ახალგაზრდა თურქთა რევოლუცია, მას 1909 წელს მოჰყვა კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება და მთავრობის შეცვლა, რამდენიმე დღის შემდეგ ახალი გადატრიალება, რის შედეგად სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა სამეული - სამი ფაშა - ენვერი, თალაათი და ჯემალი. ეს იყო ის სამეული, რომელმაც პირველ მსოფლიო ომში თურქეთი გვერდში ამოუყენა გერმანიას, ომში ჩააბა და დასამარცხებლად გაწირა. ისტორიამ პატიება არ იცის. უკვე ომის დამთავრების შემდეგ თალაათი მოკლეს ბერლინში, ენვერი - შუა აზიაში, ხოლო ჯემალი - თბილისში. ომში მარცხს მოჰყვა გენერალ მუსტაფა ქემალ ფაშას აღზევება და ბურჟუაზიული ხასიათის, ე.წ. ქემალისტური რევოლუცია. მუსტაფა ქემალ ფაშამ შეძლო არა მარტო ანტანტელი ინტერვენტების განდევნა, არამედ ქვეყნის საშინაო მდგომარეობის სტაბილიზაციაც. ის გახდა ქვეყნის მმართველი და, თუმცა შეზღუდული იყო კონსტიტუციით, სინამდვილეში სახელმწიფოს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მართავდა. 1938 წელს ქემალ ათათურქი გარდაიცვალა, მის მიერ შექმნილი სახელმწიფო შინაგანად იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, რომ 1950-იან წლებამდე სახელმწიფოს სიმტკიცეს თითქოს არავერი ემუქრებოდა. მხოლოდ 1950 წლის შემდეგ გამოჩნდა შინაგანი დესტაბილიზაციის ნიშნები, თუმცა გარეგნულად ჯერ კიდევ თითქოს სიმშვიდე სუფევდა. სწორედ 1950-იანი წლების დესტაბილიზაციას მოჰყვა სამხედრო გადატრიალებათა სერია: 1960 წლის 27 მაისს, 1971 წლის 12 მარტს და 1980 წლის 12 სექტემბერს. ამ სამ გადატრიალებას შორის ბევრი რამ არის საერთო, მიუხედავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისა, რომ თავისი შედეგებით ისინი არ იყვნენ ერთნაირი, ამავე დროს არც ერთი მათგანი არ იყო შემთხვევითი.

თურქეთის საგარეო პოლიტიკამ მეორე მსოფლიო ომის დროს, მის მიერ ფაშისტური გერმანიისადმი გაწეულმა აშკარა სამხედრო დახმარებამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც საერთაშორისო, ასევე თურქეთის პროგრესულ-დემოკრატიულ წრეებში, რომელთა გავლენა საზოგადოებრივ აზრზე ამ დროისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა. ომის პერიოდში მკვეთრად გაუარესდა თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყნის ერთპიროვნულმა მმართველმა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ ვერ გადაჭრა აგრარული პრობლემა. გლეხი ისევ უმიწოდ იყო იმ დროს, როდესაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უდიდესი ნაწილი მემამულეებისა და ფეოდალების ხელში რჩებოდა. სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ ვერც ფეოდალური გადმონაშთების მოსპობა შეძლო სოფლად. ყველაფერი ეს მოსახლეობის საერთო განწყობილებაზე მოქმედებდა და ავტორიტეტს უკარგავდა მმართველ პარტიას და მის ხელმძღვანელებს ისევ ინენიუს მეთაურობით. სახალხო-რესპუბლიკურ პარტიაში კარგად ხედავდნენ შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას და რამდენჯერმე სცადეს თავიანთი შერყეული ავტორიტეტის გადარჩენა. ამ ცდებს შორის აღსანიშნავია აგრარული რეფორმის ჩატარების ცდა 1945 წელს, რომელსაც არაფერი მოუტანია მშრომელი გლეხობისათვის. აშკარად შეიმჩნეოდა მოსახლეობის განწყობილების გამემარცხენება. ამავე დროს, ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ სწრაფად იზრდებოდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებში. თურქეთში კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის ცდას წარმოადგენდა აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის რეფორმები, რომლითაც უნდა შეექმნათ ქვეყნის დემოკრატიზაციის შთაბეჭდილება, რათა მოსახლეობის უკმაყოფილება წინასწარ მომზადებული არხით წარემართათ. ეს რეფორმები გულისხმობდა თურქეთში მრავალპარტიული სისტემის შეღებოლებას. განზრახული იყო სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ალტერნატივის შექმნა ახალი ბურჟუაზიული პარტიის სახით, რომელსაც მისცემდნენ თავიანთ ხმებს ამ პარტიის უკმაყოფილო ამომრჩეველები და ამით განიმუხტებოდა მათი უკმაყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რეფორმებს დეკორატიული ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან სინამდვილეში
არაფერი იცვლებოდა, მაგრამ ფაშისტური გერმანიისა და იტალიის დამარცხე-
ბის შემდეგ, ავტორიტარული რეჟიმების განკითხვის პერიოდში ეს საფანა-
დო შეაბეჭდილებას მოახდენდა მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრზე და თურქეთის
შერყეული ავტორიტეტის ნაწილობრივი რეაბილიტაცია მაინც იქნებოდა. მოვ-
ლენების ასეთ განვითარებაში დაინტერესებული იყო ამერიკის შეერთებული
შტატები, რომელსაც სურდა თურქეთის სახით ეპოვნა ერთგული საბჭოთა
კავშირის წინააღმდეგ მომავალ ბრძოლაში. ამიტომ ეს რეფორმების გატარე-
ბაში შეერთებული შტატები თურქეთის მთავრობის მრჩეველის როლში გამოდიო-
და.

სახელმწიფოსა და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერების ვარაუდ-
ით, მრავალპარტიული სისტემა თურქეთში აგებული უნდა ყოფილიყო ამერიკის
შეერთებული შტატების მოდელით, რომლის მიხედვით ხელისუფლებისათვის ბრძო-
ლა გაიმართებოდა ორ მთავარ პარტიას შორის. მათ გადაწყვიტეს, რომ ამე-
რიკის შეერთებულ შტატებს მიმსგავსებოდნენ არა მარტო მოდელით, არამედ
ორი მთავარი პოლიტიკური პარტიის სახელწოდებებითაც. თუ ამერიკის შეერ-
თებულ შტატებში ხელისუფლებისათვის იბრძვის ძირითადად ორი პარტია: დე-
მოკრატიული და რესპუბლიკური, თურქეთშიც ხელისუფლებისათვის მებრძოლი
ორი მთავარი პარტიის სახელწოდებებიც ისეთივე უნდა ყოფილიყო. მიუთითებენ,
რომ ამ ჩანაფიქრს გარემოება ხელს უწყობდა. თურქეთის მმართველი პარტიის
სახელწოდებაში სიტყვა "რესპუბლიკური" უკვე იყო. ამრიგად, მეორე, მის მე-
ტოქე პარტიას უნდა დარქმეოდა დემოკრატიული და ასეც მოხდა, ახლად შექმ-
ნილ პარტიას "დემოკრატიული" დაარქვეს. მრავალპარტიულ სისტემასთან დაკ-
ავშირებით გამოცხადდა, რომ თურქეთში დემოკრატიაა, თუმცა ისიც კარგად
ესმოდათ, რომ შემოღებული მრავალპარტიული სისტემა შეიქმნა სრულიად შეუ-
ფერებელ პირობებში და წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსა-
ზრებებით გადადგმულ ნაბიჯს[1]. ეს რომ ასე იყო იქიდანაც ჩანდა, რომ
დემოკრატიული პარტიის პირველი კაცი, მათ შორის ხელმძღვანელობა, ძირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თადად დაკომპლექტდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიიდან გადმოსულებით. ეს
ლ საფავეში ჩაუდგა ჯელალ ბაიარი, ქემალ ათათურქის ერთ-ერთი თანამებრ-
ძოლი, ქემალ ათათურქის სიკვდილის შემდეგ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის
ლიდერთაგანი. ამრიგად, ორივე ერთმანეთის მოწინააღმდეგე პარტიის საფავე-
ში ერთი და იგივე პარტიის რიგებში აღზრდილები აღმოჩნდნენ. სახალხო-რე-
სპუბლიკური პარტია კი დიდი ხნის განმავლობაში "წარმოადგენდა ქვეყნის
ერთპიროვნულ ლიდერს და განასახიერებდა ავტორიტარული მმართველობის სის-
ტემას".[2] როდესაც საქმე მიდგა ახლადშექმნილი დემოკრატიული პარტიის
პროგრ_ის შედგენაზე, დაისვა საკითხი: ეს პროგრ მა უპირისპირდებოდეს
სახალხო-რესპუბლიკური პარტიის პროგრამას, თუ უნდა იმეორებდეს მის ძირი-
თად დებულებებს. საქმე იმაშია, რომ თურქეთში არსებული პოლიტიკური პარ-
ტია არ უნდა უარყოფდეს ქემალიზმს. ამრიგად, ახლადშექმნილი დემოკრატიუ-
ლი პარტია შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ქემალისტური. სახალხო-რესპუბლი-
კური პარტიის პროგრამის საფუძველს წარმოადგენდა ქემალიზმის 6 ძირითადი
დებულება: რესპუბლიკურობა, ეროვნულობა, ლაიციზმი (ეკლესიის სახელმწი-
ფოსაგან გამოყოფა), რევოლუციურობა, ხალხურობა და ეთატიზმი (სახელმწიფოს
წამყვანი როლი ქვეყნის ეკონომიკაში). ექვსივე ეს დებულება შევიდა დემო-
კრატიული პარტიის პროგრამაში. ასევე გადმოვიდა დემოკრატიული პარტიის
პროგრამაში სახალხო-რესპუბლიკური პარტიის პროგრამიდან ის მუხლი, რომე-
ლიც იფვალისწინებდა სახელმწიფო კონტროლს კერძო საწარმოებზე და კაპიტა-
ლზე. ამრიგად, დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაც სახალხო-რესპუბ-
ლიკური პარტიიდან გადმოვიდა და პროგრამაც იმავე პარტიიდან იქნა აღებ-
ული [3]. მიუხედავად ამისა, როდესაც სახელმწიფოს საფავეში ჩაუდგა დემოკ-
რატიული პარტია, მაინც გამოჩნდა განსხვავება რაც კონკრეტულ პოლიტიკურ
ნაბიჯებში გამოიხატა. საფავეში მოქცეული დემოკრატიული პარტია უფრო მე-
ტად უწყობდა ხელს კერძო სექტორს, ვიდრე სახალხო-რესპუბლიკური პარტია.
თურქეთის ისტორიის მკვლევარებს შორის არსებობს აზრი, თითქოს დემოკრა-
ტიულმა პარტიამ კრიტიკულად დაუწყო ყურება ქემალიზმის ეთატიზმის პრინ-
ციპს და აპირებდა კიდეც მის ოფიციალურ უარყოფას. ამ საკითხის გასარკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვევად საჭიროა სწორად წარმოვიდგინოთ ეთნიზმის პრინციპის ძირითადი არსი. ეთნიზმის შესახებ ბევრი დაიწერა თურქეთშიაც და მის ფარგლებს გარეთაც. მან საბჭოთა მეცნიერების ყურადღებაც მიიპყრო. ეთნიზმთან დაკავშირებით უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რა მემკვიდრეობა მიიღო ეკონომიკის დარგში თურქეთის რესპუბლიკამ ოსმაღეთის იმპერიისაგან. ოსმაღეთის იმპერია წარმოადგენდა ჩამორჩენილ ქვეყანას, რომლის ეკონომიკა მთლიანად ან უცხო კაპიტალის, ანდა თურქეთის ქვეშევრდომ, მაგრამ ეთნიკურად არათურქი ბურჟუაზიის ხელში იყო. ქემალ ათათურქი მიზნად ისახავდა ეროვნული ეკონომიკის შექმნას, ეს კი ბურჟუაზიული ქვეყნის პირობებში ეროვნული ბურჟუაზიის საქმე იყო. მაგრამ აქ გასარკვევია, თუ როგორ პქონდა წარმოდგენილი ქემალ ათათურქს ეროვნული ბურჟუაზია. მისი სიტყვით, ოსმაღეთის იმპერიაში "ქრისტიანული ელემენტები ადგილობრივ მკვიდრებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ასეთი ელემენტები ქმნიან მრავალგვარ კერძო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს და სარგებლობენ უცხოეთის მუდმივი მხარდაჭერითა და მფარველობით"[4]. ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ქემალ ათათურქი ბურჟუაზიას ყოფს ორ ნაწილად, მაგრამ არა როგორც ოსმაღეთის ქვეშევრდომებსა და უცხოელებს, არამედ როგორც ქრისტიანებსა და ადგილობრივ მკვიდრთ. ქრისტიანებს, რომლებიც არათურქები იყვნენ და ადგილობრივ ელემენტს, რომლებიც მისი წარმოდგენით ეთნიკურად თურქები იყვნენ. ამრიგად, ქემალის აზრით ეროვნული ბურჟუაზია განისაზღვრება არა ქვეშევრდომობით, არამედ ეთნიკური წარმოშობით. ქემალ ათათურქის მიზანიც სწორედ ეს იყო: დაყრდნობოდა ეთნიკურად თურქული წარმოშობის ბურჟუაზიას. მაგრამ, რადგანაც სწორედ ეთნიკურად თურქი ბურჟუაზია იყო ეკონომიკურად ყველაზე სუსტი, მას სახელმწიფო უნდა დახმარებოდა. ეს კი მოითხოვდა სახელმწიფო ეკონომიკური სექტორის გაძლიერებას. ამრიგად, ეთნიზმი თავიდანვე გულისხმობდა შერეული ეკონომიკის შექმნას. ამ მხრივ კაპიტალიზმის განვითარების ქემალისტური გეგმა გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს იმ გაჩკითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებმაც კაპიტალისტური გზა აირჩიეს. ეს აზრი თურქ მკვლევარებსაც აქვთ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარებული; სახელდობრ, რომ ეთაფიზმი, როგორც სისტემა, მიესადაგება ... 6 ოღოდ თურქეთს, არამედ იმ განვითარებად ქვეყნებსაც, რომლებმაც დამოუკიდებლობას მიაღწიეს[5]. მაგრამ არ შეიძლება განვიხილოთ ეთაფიზმი, როგორც რაღაც საშუალო გზა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, როგორც ამას ქორქუთ ბარადაი აკეთებს[6]. ამრიგად, ეთაფიზმი ითვალისწინებდა სახელმწიფო და კერძო კაპიტალის ურთიერთზემოქმედებას ამ უკანასკნელის სასარგებლოდ[7]. ბუნებრივია, რომ თურქეთის ყოველ ახალ მთავრობას თავისი კორექტივი შეპქონდა ეთაფიზმის პრინციპების განხორციელებაში. ეს კორექტივები, როგორც წესი, გამოიხატებოდა იმაში, თუ ვის ანიჭებდა პრიორიტეტი შერეულ ეკონომიკაში: სახელმწიფო თუ კერძო სექტორს და რამდენად განივრცებოდა ეს პრიორიტეტი. რამდენადაც თურქ ბურჟუაზიას თურქეთში ეროვნული ეკონომიკის შექმ ... საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით შეეძლო, ბურჟუ ...ული ეკონომიკის პირობებში ასეთი დახმარება ეროვნული ბურჟუაზიის გაძლიერებასთან ერთად თანდათანობით უნდა შემცირებულიყო. ეს კი თავის მხრივ ნიშნავდა სახელმწიფო სექტორის შემცირებას კერძო სექტორის ზრდის ხარჯზე. მოვლენათა ასეთი განვითარება დაპროგრა... ...ირებული იყო თვით ეთაფისტურ პრინციპში. და გამოვლინდა მისი პრაქტიკული განხორციელების პროცესში. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1938 წლის 17 ივლისს მიღებული იქნა კან ნი №3460. მიუხედ ვად იმისა, რომ ამ კანონის მთავარი მიზანი იყო სახელმწიფო სექტორის შემდგომი გაძლიერება და მისი ორგანიზაციის სისტემის მოწესრიგება, იგი ითვალისწინებდა სახელმწიფო საწარმოების გადასვლას აქციონერული კომპანიების ხელში[8]. ეს კი სხვა არაფერი იყო თუ არა სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ კ ...ერძო კაპიტალის წახალისება ... მისდამი დახმარება. თუ ამ თვალს ზრისით შევხედავთ თურქეთის ეკონომიკურ განვითარებას და თურქეთის მთავრობებისა და პოლიტიკური პ ...ტიების ეკონომიკურ პოლიტიკას, მაშინ უნდა მივიდეთ დასკვნამდე, რომ როგორც სახალხო-რესპუბლიკური, ასევე დემოკ ...ატიული პარტიის ეთაფიზმზე დაყრდნობილი ეკონომიკური პოლიტიკა ძირითადად განვითარების ერთ ხაზს წარმოადგენდა. განსხვავება იყო მხოლოდ იმაში, თუ რამდენად იყო სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო და კერძო კაპიტალის ურთიერთზეგავლენა კერძო კაპიტალის სასარგებ-
ბლოდ – ცოტა უფრო მეტად, თუ ცოტა უფრო ნაკლებად. ეს იყო ამ საკითხში
მთავარი და არა ის, თუ რას უნდა მიეცეს პრიორიტეტი – რკინიგზებისა თუ
შარაგზების მშენებლობას, ნათესის ფართობის გადიდებას მელიორაციის სა-
შუალებით, თუ ახალი ქარხნების მშენებლობას. ამრიგად, იმისდა მიხედვით,
თუ როგორ იკრებდა ძალას ეროვნული თურქი ბურჟუაზია, ის აღარ საჭიროებ-
და სახელმწიფოს ისეთ ენერგიულ დახმარებას, როგორი 20-იან და 30-იან
წლებში. ამიტომ სახელმწიფოც თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში მეტ პრიორი-
ტეტს ანიჭებდა კერძო სექტორს. ეს კარგად ჩანს დღევანდელი თურქეთის მა-
გალითზე, როდესაც ქვეყანას სათავეში ჩაუდგა "სამშობლოს პარტია" პრემი-
ერ-მინისტრ თურგუთ ოზალის მეთაურობით. მისი ეკონომიკური პოლიტიკა სუ-
ლაც არ ნიშნავს ეთათიზმის ქემალისტურ პრინციპზე უარის თქმას. თუმცა
თურქეთის ეკონომისტების ერთი ნაწილი თურგუთ ოზალის ეკონომიკურ პოლიტი-
კას სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს. სინამდვილეში თურგუთ ოზალისა
და მისი მთავრობის პოლიტიკა მოასწავებს მხოლოდ და მხოლოდ ეთათისტური
პრინციპის განხორციელების ახალ ეტაპს. ეთათიზმი ეს იყო თურქეთის კაპი-
ტალისტური და არა სოციალისტური გზით განვითარების პროგრამა. ქემალიზ-
მის 6 ძირითადი პრინციპი, რომელთა შორის არის ეთათიზმის პრინციპიც,
ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. მათ დღევანდელი სახით ჩამოყალიბებას სა-
კმაო დრო დასჭირდა. ამ პრინციპებმა საბოლოო სახე მხოლოდ 30-იანი წლე-
ბის დასაწყისში მიიღო. როგორც თურქი ავტორები აღნიშნავენ, ეთათიზმის
ფორმირების საწყის წერტილს თურქეთის ეკონომიკის მიმართ მთავრობის მი-
ერ თავის დროზე შემოღებული პროტექციონისტური პოლიტიკა წარმოადგენდა[9].
ეთათიზმის, როგორც პრაქტიკული მოქმედების პრინციპის ჩამოყალიბებაში
დიდი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის მაგალითმა, განსაკუთრებით იმან,
რომ იმ წლებში, როდესაც კაპიტალისტური სამყარო ეკონომიკური კრიზისის
მარწუხებში იმყოფებოდა, საბჭოთა კავშირი თავისი ეკონომიკური პოლიტიკი-
სა და გეგმიანი მეურნეობის შედეგად ახალ ეკონომიკურ აღმავლობას განი-
ცდიდა. ამ მოვლენამ მიიქცია თურქი ეკონომისტებისა და სახელმწიფო მოღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაწეების ყურადღება და სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ თურქეთში [illegible] ყველა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენა[10]. ამ გარემოებამ, თურქი ავტორების აზრით, განაპირობა ის, რომ ეთაოიზმი, როგორც ეკონომიკური პოლიტიკა, საბოლოოდ მხოლოდ 1932 წელს ჩამოყალიბდა[11]. თურქი ავტორები ამავე დროს აღნიშნავენ, რომ ეს პოლიტიკა არასდროს ყოფილა სოციალისტური ხასიათის[12]. ნათქვამს შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ეთაოიზმი არათუ არ ყოფილა რაიმე შეშმარიტად სოციალისტური, არამედ ის არ ყოფილა არც სოციალ-დემოკრატიული რეფორმისტული განვითარების გზა, თუმცა ქემალ ათათურქს მიაჩნდა, რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრების იდეოლოგია ახლოს იდგა სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიასთან[13].

სინამდვილეში ეთაოიზმი თურქეთში კაპიტალიზმის განვითარების ხელშეწყობ პოლიტიკურ კურსს წარმოადგენდა, რომელიც მიზნად ისახავდა ეთნიკურად თურქული ბურჟუაზიის გაბატონებას თურქეთის ეკონომიკაში. ამ მხრივ არ ყოფილა რაიმე პრინციპული განსხვავება სახალხო-რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს შორის, ვინაიდან ორივე პარტიას სურდა ეთაოიზმი სწორედ ამ მიზნისათვის გამოეყენებინა. ამიტომ ამ ორი პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა თავისი ძირითადი მიმართულებით პრინციპულად არ ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ამ ორი პარტიის წევრთა შემადგენლობა ერთმანეთისაგან კლასობრივ-სოციალური თვალსაზრისით არ განსხვავდებოდა და ორივენი ერთსა და იმავე კლასობრივ მიზნებს ემსახურებოდნენ. მკვლევრების ნაწილი თვლის, რომ სახალხო-რესპუბლიკური პარტია გამოხატავდა თურქეთის დემოკრატიული და რადიკალური ფენების ინტერესებს, ხოლო დემოკრატიული პარტია კი - მსხვილი ბურჟუაზიისა და მონოპოლისტური კაპიტალისას. მაგრამ ამ ორი პარტიის პრაქტიკული საქმიანობის შესწავლა ამ აზრის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. მათ პრაქტიკულ საქმიანობაში იმდენად ბევრი რამ ემთხვეოდა ერთმანეთს და იყო მსგავსი, რომ ზემოთ გამოთქმულ აზრს ვერ დავეთანხმებით. ის, რაც [illegible]ქვა ამ პარტიების საშინაო პოლიტიკის შესახებ, ითქმის მათი საგარეო პოლიტიკის შესახებაც. თურქეთის საგარეო პოლიტიკა დემოკრატიული პარტიის ხელისუფლების საათავეში ყოფნის დროს, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ მომენტებს, ფაქტიურად, წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოადგენდა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზის თითქმის უცვლელად გაგრძელებას. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან თურქეთის კავშირი მზადდებოდა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში, ასეთი კავშირი აშკარად გამოიკვეთა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ ფაშისტური გერმანია ომს ვერ მოიგებდა. თურქებს კარგად ახსოვდათ პირველი მსოფლიო ომის გაკვეთილები და არ უნდოდათ კვლავ დამარცხებული ქვეყნის მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ. ამიტომ თურქეთი გერმანიის მხარეს ომში ჩაბმას ჯერხილობდა, თუმცა თურქეთის მესვეურთა სიმპათიები მთლიანად გერმანიის მხარეზე იყო ისევ იმავე მიზეზით, როგორც ეს იყო პირველ მსოფლიო ომში. თურქეთში იმედი ჰქონდათ, რომ გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში შეძლებდნენ დიდი ხნის პანთურქისტული ოცნების განხორციელებას და ხელში ჩაიგდებდნენ, თუ მთელ სივრცეებს არა ჩინეთის საზღვრებამდე, კავკასიას მაინც. გამწვავებული ურთიერთობა, რომელიც არსებობდა თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ომის დამთავრების შემდეგ არ შესწყვეტილა. ახლა მხოლოდ გერმანიის მაგივრად თურქეთის ზურგს უკან შეერთებული შტატები იდგა. 1947 წელს, თანახმად "ტრუმენის დოქტრინისა", თურქეთმა მიიღო შეერთებული შტატების სამხედრო დახმარება, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 1948 წელს თურქეთი თანხმდება მონაწილეობა მიიღოს ასევე საბჭოთა კავშირის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ "მარშალის გეგმის" განხორციელებაში. შეერთებულ შტატებთან დაახლოების ბუნებრივი შედეგი იყო, რაც რატიფიცირებული იყო 1952 წლის 18 თებერვალს თურქეთის მეჯლისის მიერ, თურქეთის შესვლა ნატოს აგრესიულ ბლოკში 1951 წელს. უკვე დემოკრატიული პარტიის მმართველობის პერიოდში საბჭოთა დიპლომატიის ყოველი ცდა, შეერბილებინა ურთიერთობა თურქეთთან, უშედეგოდ დამთავრდა [14]. ამრიგად, თურქეთის ნატოს ბლოკში შესვლა ჯელალ ბაიარის პრეზიდენტობის დროს ბუნებრივი შედეგი იყო თურქეთის საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც ის ატარებდა ისმეთ ინენიუს პრეზიდენტობის დროს. ტრუმენის დოქტრინის მიღების, "მარშალის გეგმაში" მონაწილეობისა და ნატოს აგრესიულ ბლოკში შესვლის შემდეგ მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით თურქეთის მონაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღეობა კორეის ომში. ამ შეპყრობილებაშიც ჯელალ ბაიარ-ადნან მენდერესის ეროვნული ლიტიკა არ წარმოადგენდა ისმეთ ინენიუს პრეზიდენტობის დროს თურქეთის საგარეო პოლიტიკიდან გადახვევას. ამ ორივე მთავრობის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა ერთი მთლიანი ლოგიკური ძაფი იყო.

დემოკრატიული პარტიის მთავრობის მიმართ, ამ მთავრობის დამხობის შემდეგ, წარმოყენებული იქნა ბრალდება, რომ მან უღალატა ქემალიზმს და არ განაგრძო ის კურსი, რომლითაც თურქეთი მიპყავდა ქემალ ათათურქის მიერ შექმნილ სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას. სინამდვილეში არავითარ კურსის შეცვლა არ პქონია ადგილი. ეს ეხება როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკას. დემოკრატიული პარტიის საშინაო ეკონომიკური პოლიტიკა წინა მთავრობების და თვითონ ქემალ ათათურქის ეთათისტური პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა, ვინაიდან "შერეული ეკონომიკის" სისტემაში სახელმწიფო სექტორის წილი (რომელსაც თურქი ეკონომისტები ხშირად საზოგადოებრივ სექტორს უწოდებენ) უფრო მაღალია, ვიდრე ეს არის ნაჩვენები ყველა ოფიციალურ შემაჯამებელ ცნობაში და მიუხედავად ამისა, ოფიციალური ცნობები მაინც იმაზე მეტყველებენ, რომ "სახელმწიფო სექტორი რჩება თანამედროვე ეკონომიკის შექმნის ბაზად, ხოლო კერძო კაპიტალ აქტიურად იყენებს მას თავისი გაძლიერებისათვის"[15]. ნ.გ. კირეევის ეს დასკვნა ეხება 70-იან წლებს. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული პარტია "შერეული ეკონომიკის" პირობებში ერთგვარ უპირატესობას კერძო კაპიტალს ანიჭებდა, სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში ასეთმა პოლიტიკამ ხელშესახები ნაყოფი გამოიღო. ასე, მაგალითად, თუ 1950 წელს სახელმწიფო სექტორმა (სუმერბანკის ფაბრიკები) ბამბის ნართის 77% აწარმოვა, 1960 წელს ეს ოდენობა - 30 და 29,5%[16], მაგრამ წარმოების ამ ოდენობამ ვერ გამოვიტანთ დასკვნას თურქეთის შერეულ ეკონომიკაში კერძო კაპიტალის წილის ზრდის შესახებ, ვინაიდან, იმავე ავტორის დაკვირვებით, კერძო სექტორის კაპიტალის დაბანდება უპირატესად წარმოებს საბინაო მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, კვების, საქსოვ და ამწყობ მრეწველობაში, ტვირთზიდვასა და ტურიზმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50-იანი წლები, როდესაც დემოკრატიული პარტია ხელისუფლების საფეხ-ში აღმოჩნდა, იფიქრება გარდატეხის პერიოდად კერძო სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად ტრანსფორმაციის თვალსაზრისით[17]. ეს პროცესი გრძელდება 1960 წლის 27 მაისის გადატრიალების შემდეგაც, ვინაიდან დემოკრატიული პარტიის ხელისუფლების საფეხურში ჩადგომის ეხუთმეტი წლის შემდეგ, ე.ი. პერიოდის შემდეგ, რომელიც მოიცავს სამხედრო გადატრიალების შემდეგ 5 წელს მაინც, "კერძო სამრეწველო კაპიტალს უკვე შეეძლო თავისი თავი ჩაეთვალა მსხვილი სავაჭრო კაპიტალის პარტნიორად"[3].

ამრიგად, სახალხო-რესპუბლიკური და სახელმწიფოს საფეხურში მისი შემცვლელი დემოკრატიული პარტიის საშინაო პოლიტიკას შორის კარდინალურ განსხვავებას ვერ ვხედავთ. იგივე ითქმის საგარეო პოლიტიკის მიმართაც, კიდევ მეტი, დემოკრატიული პარტიის მმართველობის პერიოდში ოპოზიციაში მყოფი სახალხო-რესპუბლიკური პარტია აშკარად უჭერდა მხარს ბაიარ-მენდერესის საგარეო პოლიტიკურ კურსს საბჭოთა კავშირის მიმართ ატარებული პოლიტიკის ჩათვლით. ის განსხვავება, რომელიც არსებობდა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში სახალხო-რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების მმართველობის დროს, არ შეიძლებოდა გამხდარიყო სამხედრო გადატრიალებისა და დემოკრატიული პარტიის დარბევის მიზეზი.

პირველი მოხმარების საგნებზე და სურსათზე ფასების სწრაფი ზრდა,ცხოვრების დონის სისტემატური დაცემა,უმუშევრობის ზრდა,ახალგაზრდობის პრობლემის და სოციალურ-ურთიერთობათა გამწვავება,რაც კიდევ უფრო ღრმავდებოდა დემოგრაფიული აფეთქებისა და სოფლის მოსახლეობის ქალაქებში მოზღვავებით, თურქეთის მოსახლეობის ფართო ფენების დიდი უკმაყოფილების მიზეზი იყო. თურქეთში კარგად ხედავდნენ, რომ ცხოვრების პირობების გაუარესება გარკვეულად დაკავშირებული იყო თურქეთის ნატოს და სენტოს აგრესიულ ბლოკებში მონაწილეობასთან. მიუთითებს, რომ ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ნატოს და სენტოს ბლოკებში მონაწილეობა მძიმე ტვირთად აწვებოდა თურქეთის ბიუჯეტს. ეს იწვევდა ომისა და სამხედრო ბლოკების საშინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმდეგო განწყობილებების ზრდას, რასაც, ბუნებრივია, თან სდევდა ანტი-ამერიკული გრძნობების გაძლიერება. ამასთან ერთად, თურქულ საზოგადოებრიობაში იზრდებოდა ოპოზიცია თურქეთის მთავრობის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართ. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ თურქეთში დაიწყო საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლება, მოსახლეობის ფართო ფენებში გაძლიერდა დემოკრატიული განწყობილებები. საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენა მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ახალი ტენდენციების შესაქმნელად, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა კავშირის ნიმართ პოლიტიკის გადასინჯვა მისი გაუმჯობესების მიზნით. ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების პროცესმა, რომელმაც თავი იჩინა 1960 წლის 27 მაისის გადატრიალების შემდეგ, საათავე ჯერ კიდევ ბაიარ-მენდერესის მთავრობის არსებობის დროს დაიდო, სამხედრო გადატრიალების ცოტა ხნით ადრე, როდესაც საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარის თურქეთში, ხოლო თურქეთის მთავრობის თავმჯდომარის საბჭოთა კავშირში ჩასვლის შესახებ. მაგრამ ეს არ განხორციელებულა თურქეთში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების გამო. მართალია, ხალხში გავრცელებულ ხმებს შეშმარიტებად ვერ ვაღიარებთ, თუკი ისინი უტყუარი საბუთებით არ იქნება დადასტურებული, მაგრამ ასეთი ხმების ყოველთვის არც უგულვებელყოფა შეიძლება ბაიარ-მენდერესის მთავრობის ჩამოგდების, დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობის გასაბარდების და ადნან მენდერესის, ფათიპ ზორლუს და ჰასან ფოლათქანის სიკვდილით დასჯის შემდეგ თურქეთში ხშირად გაიგონებდით გავრცელებულ აზრს, თითქოს სამხედრო გადატრიალების უკან ამერიკელები იდგნენ, რომლებსაც ეშინოდათ, რომ თურქეთის მთავრობის მეთაურის ადნან მენდერესის ვიზიტი საბჭოთა კავშირში და საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურისა-თურქეთში გამოიწვევდა თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა მკვეთრ გაუმჯობესებას, რისი მოსურნენიც ამერიკელები არ იყვნენ და ამიტომ სწორედ ეს შიში გახდა მიზეზი იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიდან მოიცილა ბაიარ-მენდერესის მთავრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალპარტიული სისტემის შემოღება თურქეთში წარმოადგენდა ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთგვარ გაფართოებას, მაგრამ ეს დემოკრატია მაინც მეტად შეზღუდული რჩებოდა, ვინაიდან კომუნისტური პარტია კვლავ აკრძალული დარჩა. მიუხედავად ამისა, ამ სისტემამ მაინც გამოიღო დადებითი შედეგები, ვინაიდან შეიქმნა მემარცხენე მიმართულების პარტიებიც. მაგ., "თურქეთის სოციალისტური მუშათა პარტია", "თურქეთის მუშათა და გლეხთა პარტია", "თურქეთის სოციალისტური პარტია", "თურქეთის სოციალისტური მუშათა და გლეხთა პარტია"[19]. დაიწყო მემარცხენე მიმართულების ჟურნალ-გაზეთების გამოცემა: "გიუნ", "გერჩეკ", "სიოზ", "პავადის", "სენდიკა", "ბაშაკ", "პიურ გენჩლიკ", "პიურ", "ბაშთან", "იენი ბაშთან", "მარკო ფაშა", "ოქიუზ ფაშა", "ნუპენ გემისი"[20], მემარცხენე მიმართულების პოლიტიკური ჯგუფები შექმნეს აგრეთვე ევროპის ქვეყნებში მცხოვრებმა თურქებმა, მაგ., "პროგრესული ახალგაზრდა თურქები", რომელიც თურქეთის არალეგარულ კომუნისტურ პარტიასთან იყო დაკავშირებული. მემარცხენე ტენდენციები განსაკუთრებით იგრძნობოდა სტუდენტ ახალგაზრდობას შორის, რომელთა მთავარი მოთხოვნილება იყო იმ დროს თურქეთში პატიმრობაში მყოფი პოეტის ნაზიმ ჰიქმეთის გათავისუფლება. 50-იანი წლების დასაწყისისათვის მემარცხენე მიმართულების სტუდენტურ ორგანიზაციებში განმორჩეოდა "უმაღლესი განათლების ახალგაზრდების ორგანიზაცია". ამ დროინდელი თურქეთისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური ძალების პოლარიზაცია, მემარცხენე და მემარჯვენე ძალების ურთიერთისაგან გამიჯვნა. მემარცხენე ორგანიზაციებთან ერთად იქმნება მემარჯვენე მიმართულების ორგანიზაციებიც, მაგ., "თურქი სტუდენტების ეროვნული კავშირი", აგრეთვე "ნაციონალისტების ფედერაციაც", რომელმაც რამდენიმე მემარჯვენე ორგანიზაცია გააერთიანა: "თურქული კულტურის კერა", "თურქი ახალგაზრდობის ორგანიზაცია", "თურქულ კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზაცია", "თურქების კავშირი" და სხვ.[21] მემარჯვენე და მემარცხენე ორგანიზაციებს შორის ბრძოლამ მიიღო თურქეთის საშინაო პოლიტიკური ბრძოლის თავისებური ფორმა ე.წ. "ლოზუნგების ომის" ფორმა. ეს იყო ერთმანეთის საწინააღმდეგო ლოზუნგებისა და მოწოდებების წერა საქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქო აეტობუსებზე, ტრამვაიებზე, სახლის კედლებზე და ლობე-ყორეებზე. შემდგომში ამ "ომმა" საყოველთაო ხასიათი მიიღო და მთელ თურქეთში, ქალაქებსა და სოფლებში, ყველაფერი, რახედაც კი წარწერის გაკეთება შეიძლებოდა, ლოზუნგებით და მოწოდებებით აევსებდა. ჩვენი მოსაზღვრე სოფელ სარფის ტურტული ნაწილიც კი ასეთ წარწერებში იყო ჩაფლული. წარწერები კეთდებოდა ცარცით, საღებავებით. შემდგომში ლოზუნგების წერის ტექნიკა განვითარდა - წარწერებს უკვე ტრაფარეტების საშუალებით აკეთებდნენ და ისეთი საღებავებით, რომლებიც არ ირეცხებოდა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ნემარცხენე ჯგუფები თავისი შემადგენლობით და იდეოლოგიით მეტად ვრცელი იყო. მათ შორის იყვნენ ტროცკისტები, ენვერ ხოჯას მიმდევრები, მაოისტები, ანარქისტები და სხვ. თურქეთში თვლიდნენ, რომ დაჯგუფებებად, ჯგუფებად და პარტიებად ჩამოყალიბებული მემარცხენე მიმდინარეობათა რაოდენობა 50-ს აღწევდა. ნემარცხენე ჯგუფების უმრავლესობა, ისევე როგორც მემარჯვენეებისა, წვრილბურჟუაზიული ხასიათის იყო, ისინი იყენებდნენ ბრძოლის ანარქისტულ-ტერორისტულ მეთოდებს. წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის დიდი გავლენა თურქეთში არ იყო შემთხვევითი. ეს იყო ეთნოისტური ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის პირდაპირი შედეგი.

დემოკრატიული პარტიის არჩევნებში გამარჯვების დროს, 1950 წელს, ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე ჯგუფებს შორის მხოლოდ საწყის ფაზაში იყო, მაგრამ უკვე იგრძნობოდა, თუ როგორი შედეგები მოჰყვებოდა მას.

ბაიარ-მენდერესის მთავრობამ ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე დაიწყო მემარჯვენე ჯგუფებისადმი მხარდაჭერის პოლიტიკის გატარება. დემოკრატიული პარტიის მთავრობის პირველ პროგრამაშივე, რომელიც ახალმა პრემიერ-მინისტრმა ადნან მენდერესმა მეჯლისს წარუდგინა 1950 წლის 29 მაისს, ლაპარაკი იყო მემარცხენე მოძრაობასთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. მან განაცხადა: "საკითხი, რომლებზედაც ჩვენ განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ, ეს არის კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება, რათა ქვეყანა ბირფესვიანად გავწმინდოთ დამანგრეველ უკიდურეს მემარცხენე მოძრაობისაგან[23]. ამავე სიტყვაში ადნან მენდერესმა მემარცხენეებს მიაწერა რეაქცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულობაც და რასიზმიც[24]. მართალია, ა. მენდერესი ვერ გაერკვა ვერცხლისწყლიანებ
რჯვენე და ვერც მემარცხენე მოძრაობის აზრში, რაც შემდგომში მას ძვირად
დაუჯდება, მაგრამ კარგად შეიგნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდ-
ულ მოძრაობას და რომ აუცილებელია ახალგაზრდობაში დასაყრდენის პოვნა. ამ-
იტომ არ იყო შემთხვევითი, რომ თავისი პრეზიდენტობის პირველსავე დღეებში
ჯელალ ბაიარმა საგანგებო მოწოდებით მიმართა ახალგაზრდობას. კარგად ჩანდა
რომ ახალგაზრდობის საკითხის ხვედრითი წონა თურქეთის პოლიტიკური პარტი-
ების ბრძოლაში სწრაფად მატულობდა. უნივერსიტეტებმა მიიპყრეს პოლიტიკუ-
რი პარტიების ღიდერების ყურადღება, მათ შორის როგორც დემოკრატიულის,
ასევე სახალხო-რესპუბლიკურის. სტუდენტ ახალგაზრდობასთან პოლიტიკური
პარტიების ღიდერების შეხვედრები თავისებურ მოდად იქცა. უნივერსიტეტის
სტუდენტებს შეხვდნენ ადნან მენდერესი და მისი კაბინეტის მინისტრები,
სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ღიდერი ისმეთ ინენიუ. ბაიარ-მენდერესის
მთავრობამ მემარცხენე მოძრაობასთან ბრძოლის მიზნით სცადა მემარჯვენე
განწყობილების ახალგაზრდობაზე დაყრდნობა, ამიტომ შემთხვევითი არ იყო,
რომ რეაქციულობაც და რასიზმიც მენდერესმა მემარცხენეებს მიაწერა. მაგ-
რამ მემარჯვენეებმა მაღე დაანახვეს ადნან მენდერესს, რომ ისინი ბევრად
უფრო მემარჯვენე პოლიტიკის გატარებას მოითხოვენ, ვიდრე ამას იგი აკე-
თებდა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოვლინდა, როდესაც გააქტიურდა "ნა-
ციონალისტების ფედერაცია", რომელმაც 1951 წლის აპრილში მოიწვია ფედე-
რაციაში შემავალი ორგანიზაციების კონგრესი და ფედერაციის მაგიერად,
რომლის შემადგენლობაში შემავალი ყველა ორგანიზაცია ინარჩუნებდა თავის
ავტონომიას, შეიქმნა უნიფიცირებული "თურქ ნაციონალისტთა საზოგადოება".
ამ ახლადშექმნილ საზოგადოებაში გაერთიანდა დაშლილ ფედერაციაში შემავა-
ლი ყველა ორგანიზაცია. ნიშანდობლივი იყო, რომ ეს კონგრესი ჩატარდა სტა-
მბოლში, რუსტემ ფაშას მეჩეთის შენობაში. ახლადშექმნილ ორგანიზაციაში
ისლამის დაცვას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. დემოკრატიული პარტიის
მთავრობის ვარაუდი, რომ ის მემარცხენეების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეყ-

K 216.627

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდნობიდა მემარჯვენეთა გაერთიანებულ ძალებს, არ გამართდა. უკიდურეს მემარჯვენეებს არ აწყობდათ დემოკრატიული პარტიის მთავრობის პოლიტიკა, რომელსაც ისინი ქემალისტურად თვლიდნენ. მათი იდეოლოგია ეს იყო ნაციონალიზმის და ისლამიზმის სინთეზი. ამ მოძრაობამ შემდგომში ისლამისტური და თურქისტული პარტიები წარმოშვა. "თურქი ნაციონალისტების საზოგადოების" ნოღვაწეობამ თანდათანობით მიიღო აშკარად გამოხატული ანტიქემალისტური და მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულება. თურქეთის სხვადასხვა რაიონებში გახშირდა ექსცესები, რომლის დროსაც ანტვრევდნენ ქემალ ათათურქის ბიუსტებს. ამრიგად, ბაიარ-მენდერესის მთავრობის ცდა, სახელმწიფოს მართვაში მემარცხენე ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში დაყრდნობოდნენ უკიდურეს მემარჯვენე ძალებს, არ გამართდა. ასევე დაუპირისპირდა მთავრობას მემარცხენე ძალები. ეს იყო პოლარული ძალების კრისტალიზაციის და გამიჯვნის ახალი ეტაპი. შეიქმნა ძალთა განაწილების ის მოდელი, რომელმაც შემდგომში თურქეთი 70-იანი წლების დასასრულის ანარქიამდე მიიყვანა - მემარჯვენეები და მემარცხენეები ერთმანეთის წინააღმდეგ და ორივე ერთად მთავრობის წინააღმდეგ. ეს იყო ბაიარ-მენდერესის მთავრობის, ისევე როგორც მთელი დემოკრატიული პარტიის, მარცხი და ამ მარცხმა, ბუნებრივია, შეაშფოთა მთავრობაც და პარტიაც. მემარჯვენე ძალების მისი მორჩილებიდან გამოსვლის შემდეგ მთავრობას აღარ ჰქონდა დასაყრდენი ახალგაზრდობაში. საჭირო იყო სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება. ახალგაზრდობაში დასაყრდენის მსრივ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა აგრეთვე სახალხო-რესპუბლიკური პარტიაც. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით 1954 წლის დასაწყისში დემოკრატიული პარტია ქმნის "ახალგაზრდა დემოკრატების ორგანიზაციას". თავისი ახალგაზრდული ორგანიზაცია შექმნა აგრეთვე სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ - "თურქეთის სტუდენტთა ეროვნული კავშირი". ახალგაზრდული მოძრაობის ცენტრებად უმაღლესი სასწავლებლები ხდება. ეს კარგად განსაზღვრავს ახალგაზრდული მოძრაობის სოციალურ არსს.

ანარქისტული წვრილბურჟუაზიული იდეების გავრცელება თურქეთში შემთხვევითი არ იყო. ასეთი იდეები და მისი შესატყვისი ბრძოლის მეთოდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის დროზე ვრცელდებოდა სწორედ ისეთ ქვეყნებში, რომლის საზოგადოებაში მნიშვნელოვან ნაწილს წვრილი ბურჟუაზია შეადგენდა (ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია და სხვ.).

ეთათისტური პოლიტიკის გატარების პირველ პერიოდში, როდესაც უცხოური ბურჟუაზიის მოძალების და უცხოელთა ეკონომიკური პოზიციების შერყევის მიზნით ქემალ ათათურქმა მიიღო თავდაცვითი ღონისძიებები "თავისი" მრეწველობის და "თავისი" ბაზრის დასაცავად უცხოური კაპიტალისაგან, გააძლიერა და გაამაგრა თურქული ეროვნული ბურჟუაზია, ჯერ კიდევ არ იყო ამ ბურჟუაზიისადმი დიფერენცირებული მიდგომა, მაგრამ შემოუღობში ქემალისტურ ეთათისტურ პოლიტიკაში გამოიკვეთა ტენდენციები, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყოთ თურქი ბურჟუაზიის იმ ფენისათვის, შედარებით დიდ კაპიტალს რომ ფლობდა, რაც კარგად გამოიკვეთა უკვე 30-იანი წლების დასაწყისში. მაშინდელმა ეკონომიკის მინისტრმა ჯელალ ბაიარმა, მიმართა რა თურქ კაპიტალისტებს, განაცხადა, რომ "სახელმწიფო აშენებს საწარმოებს იმის გამო, რომ თქვენ არა გაქვთ საკმარისი კაპიტალი. სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც აშენებულია თქვენი კაპიტალის დახმარებით, გაბსხვიღების შემდეგ თანდათანობით თქვენ გადმოგეცემათ"[25]. ამრიგად, თურქეთის მთავრობა დაინტერესებული იყო, რომ თურქეთის ეროვნულ ბურჟუაზიას მიეღო რაც შეიძლება ქმედითი მონაწილეობა თურქეთის მრეწველობის განვითარებაში, მაგრამ ეს შეეძლო გაეკეთებინა მხოლოდ შეღარებით დიდი კაპიტალის მქონე ბურჟუაზიას. ამიტომ ეთათისტური პოლიტიკის შედეგად გამრავლებული წვრილი ბურჟუაზიის წიაღში, იგივე ეთათისტური პოლიტიკის შედეგად, როდესაც სახელმწიფო და კერძო კაპიტალის ურთიერთგავლენა იყო "უფრო კერძო კაპიტალის სასარგებლოდ", მიმდინარეობს დიფერენციაციის პროცესი. თურქი ბურჟუაზიის ნაწილი იწყებს გამდიდრებას, ნაწილი - გაღატაკებას. რაოდენობრივად ის ნაწილი, რომელიც ღატაკდება ანდა ემუქრება გაღატაკება, წვრილი ბურჟუაზიის ძირითად მასას შეადგენს, ხოლო ის ნაწილი, რომელიც მდიდრდება, შეედარებით მცირეა. წვრილი ბურჟუაზიის დიფერენციაციის პროცესი ჩქარდება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქვეყანას სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავეში ჩაუდგა ბაიარ-მენდერესის მთავრობა, როდესაც აღებული იქნა მსხვილი საწარმოების მშენებლობის და მსხვილი ბურჟუაზიის გაძლიერების კურსი. "მსხვილ საწარმოთა მშენებლობა გარდუვალად აჩქარებს ათეულობით და ასეულობით წვრილ მწარმოებელთა გაღატაკებას"[26]. "თურქეთის მონოპოლისტური კაპიტალის აჩქარებული განვითარება არსებით გავლენას ახდენს წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის მდგომარეობასა და არსებობის პირობებზე და ხელს უწყობს როგორც წვრილ მწარმოებელთა ნაპობრივ განადგურებას, ასევე მსხვილ წარმოებასთან დაკავშირებული წვრილი ბურჟუაზიის წარმოქმნას, განმტკიცებას და ერთგვარ განვითარებასაც კი[27]. ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის მდგომარეობა განსაკუთრებით მერყევი ხდება ფასების კატასტროფული ზრდის, ვალუტის გაუფასურების, მთელი რიგი საქონლის ნაკლებობის, გადასახადების ზრდის და სხვა ფაქტორების გამო[28]. ყველა ეს ტენდენცია აშკარად გაძლიერდა ბაიარ-მენდერესის მთავრობის ოროს. ფასების ზრდა, რომელიც 40-იან წლებში მიმდინარეობდა, უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. ადნან მენდერესმა თურქებს აღუთქვა, რომ ფასების ზრდას შეაჩერებდა, მაგრამ თავისი დაპირების შესრულება ვერ შეძლო. 1951 წლის 2 აპრილს, მეჯლისში გამოსვლისას მან აღიარა თავისი ფაქტიური მარცხი ამ საკითხში. მარცხს მენდერესი ამარტივებდა ობიექტური პირობებით. კერძოდ, რაღაც მოულოდნელი და განსაკუთრებული მოვლენებით: ომით კორეაში, იმით, რომ უცხოეთის ქვეყნები დააღვნენ სამხედრო ეკონომიკის შექმნის გზას, რომ ცხოვრების გაძვირება დამახასიათებელია არა მარტო თურქეთისათვის, არამედ ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყნისათვის[29]. ამავე დროს აცხადებდა: თურქეთში ცხოვრების სიძვირის ზრდა ისეთი სწრაფი ტემპით არ მიმდინარეობს, როგორც სხვა ქვეყნებშია[30]. დაპირებები დაპირებებად დარჩა. ცხოვრების სიძვირე განუხრელად იზრდებოდა, ისევე როგორც ლირის გაუფასურება. გაიზარდა საგარეო ვალი, რომელნაც 1 მილიარდ თურქულ ლირას მიაღწია. თურქეთი იძულებული გახდა დამატებით ეთხოვა უცხოური კრედიტები. მოხდა ლირის კურსის ახალი საგრძნობი დაცემა. თუ ერთი დოლარი ღირდა აქამდე 2,80 ლირა, ამჟამად გახდა 9 ლირა[31].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, თურქეთის მთავრობების ეკონომიკური პოლიტიკა ომის შემდ-
გომ პერიოდში, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მსხვილი კაპიტალის გაძლიერ-
ებას, ხოლო მეორე მხრივ, წვრილი ბურჟუაზიის გაღატაკებას, ეს კი, თავის
მხრივ, - ანარქისტული იდეების გავრცელებას და წვრილი ბურჟუაზიის ბრძო-
ლის გაძლიერებას სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამიტომ თურქეთში ანარქისტუ-
ლი და წვრილბურჟუაზიული იდეები დიდ პოპულარობას იძენენ და ვრცელდება
ამ იდეების შესაბამისი ანარქისტულ-ტერორისტული ბრძოლის მეთოდები და
ტაქტიკა. ვინაიდან თურქეთის ბურჟუაზიული სახელმწიფო ამ პერიოდში მეფარ-
ველობას უწევდა და ახალისებდა მსხვილ ბურჟუაზიას, რომელიც, თავის
მხრივ, ანადგურებდა წვრილ ბურჟუაზიას, ეს უკანასკნელი ბრძოლის მახვ-
ილს წარმართავს სახელმწიფოს წინააღმდეგ, როგორც მემარჯვენე, ასევე ნე
მარცხენე ექსტერმისტების ხელით. და თუ მემარჯვენე და მემარცხენე ექს-
ტრემისტები, რომლებიც საბოლოო ჯამში წვრილი ბურჟუაზიის წარმომაქმნები
არიან, ერთმანეთს ებრძვიან, ბუნებრივია, რომ ამ ბრძოლაში ერთმანეთის
წინააღმდეგაც, ისევე როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ, ტერორისტულ მეთ-
ოდებს მიმართავენ. როგორც ვხედავთ, ამოცანა, რომელიც თავს იდვა დემო-
კრატიული პარტიის მთავრობამ - ქვეყნის ეკონომიკის აყვანასაღება, კრიზ-
ისული მოვლენების მოსპობა და გამწვავებული სოციალური ბრძოლების დაცხ-
რომა - ვერ შეასრულა და არათუ ვერ შეასრულა, არამედ პირიქით - ბაიარ-
მენდერესის მთავრობის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს სოციალური
კონფლიქტი გამწვავდა და თანდათანობით მომზადდა ნიადაგი ექსტრემისტული
მეთოდებით ბრძოლაზე გადასვლისათვის.

გაძლიერებულ ანარქისტულ-ტერორისტულ მოძრაობაში ყველაზე აქტიურ ნაწ-
მოქმედ ძალას ახალგაზრდობა წარმოადგენდა. ეს მოძრაობა ეყრდნობოდა
როგორც ექსტრემისტულ მემარჯვენე, ასევე ექსტრემისტულ მემარცხენე "იდ-
ეებს". "იდეები" კი მოითხოვდნენ გარკვეულ ინტელექტუალურ დონეს. ახალ-
გაზრდული მოძრაობის ცენტრებად უმაღლესი სასწავლებლები გახდა. სტუდენ-
ტი ახალგაზრდობა ამ მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა. მაგრამ ჩვენ არ უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვიფიქროთ, რომ ეს მოძრაობა, რომლის წამყვან ძალად უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა გვეელინება, მარტო სტუდენტებისაგან შედგებოდა. მასში ჩაბმულნი იყვნენ აგრეთვე ლიცეუმებისა და საშუალო სასწავლებლების (თურქეთში საშუალო სასწავლებელი უდრის ჩვენს არასრულ საშუალო სკოლას, ლიცეუმი კი საშუალოს) მოსწავლეები, მუშა და უმუშევარი ახალგაზრდობა, იყო აგრეთვე ახალგაზრდობა მოსაპსახურეებისა და მედუქნეების წრიდან. ამათგან უმრავლეს ნაწილს არაუერი აქონდა დასაკარგავი, წარმატების შემთხვევაში კი ყველა მოელოდა გარკვეულ წილს თავისთვის. საჭიროა შევეხოთ კიდევ ერთ დეტალს: როდესაც ცალკე გამოვყოფთ ახალგაზრდულ მოძრაობას, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ეს იყო ახალგაზრდული მოძრაობა მასში მონაწილეთა ასაკის მიხედვით, რაც შეეხება ამოცანებს, რომელსაც ისახავდა მოძრაობაში მონაწილე ყოველი ცალკე ჯგუფი და მათ მოთხოვნებს, ესენი სულაც არ ყოფილან რაღაც სპეციფიკური ახალგაზრდული, რომელთა განხორციელებაში მხოლოდ ახალგაზრდა იყო დაინტერესებული. მათი მოთხოვნები საერთო პოლიტიკური და საერთო ეკონომიკური ხასიათისა იყო. აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: არა მარტო ახალგაზრდულში, არამედ საერთოდ ანარქისტულ-ტერორისტულ მოძრაობაში მონაწილე პირების ძირითადი მასის ასაკი არ აღემატებოდა 27-30 წელს. ამ ასაკის მიღწევის შემდეგ მოძრაობის მონაწილენი "წყნარდებოდნენ", პოლიტიკურ მოღვაწეობას სცილდებოდნენ და ხშირად დგებოდნენ იმათ სამსახურში, ვისაც გუშინ ებრძოდნენ და ამრიგად, წყვეტდნენ ყოველგვარ კავშირს თავის წარსულთან. რაც შეეხება მოძრაობის მონაწილეთა თეორიულ-იდეოლოგიური მოზაღების საერთო დონეს, მიუხედავად იმისა, რომ მის სათავეში იდგნენ "ინტელიქტუალები" სტუდენტების სახით, ის მაინც დაბალი იყო. ძირითად მასას რეგბად ბუნდოვანი წარმოდგენა აქონდა თავისი ბრძოლის მთავარ მიზანზე. ვერ გამოვრიცხავთ კიდევ ერთ მომენტს, რაც მოძრაობის მონაწილეთა დასახასიათებლად გამოგვადგება: იყვნენ ისეთებიც, რომელთათვის ტერორისტულ თუ მთავრობის საწინააღმდეგო სხვა აქტებში მონაწილეობა მხოლოდ თავისებური "გართობა" იყო. თუ დავეყრდნობით წინამდებარე ნაწრომის ავტორის შეხვედრებს თურქეთში, ასეთი პირების რიცხვი არც ისე მცირე იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნლ-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარად გამოჩნდა, რომ ბაიარ-მენდერესის მმართველობა ვერ შეძლებდა გაბნეული სოციალური კონფლიქტების დაძლევას. ეს კი ნიშნავდა, რომ ის ვერ ასრულებდა იმ ამოცანას, რისთვისაც იყო გამიზნული – აეცილებინა ყოველგვარი საშიშროება თურქეთში გაბატონებული სოციალური სისტემისათვის. ამდენად, ისმებოდა კითხვა-იყო თუ არა მიზანშეწონილი მისი დაჩენა ხელისუფლების სათავეში. დემოკრატიული პარტიის ნაკლოვანების ეკონომიკური პოლიტიკა კი გარდუვალს ხდიდა სოციალისტური კონფლიქტის შემდგომ გაბნევაცებას და ქვეყნის პოლიტიკურ დესტაბილიზაციას.

ძნელია ამჟამად ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რატომ ვერ შეძლეს ბაიარმა და მენდერესმა საერთო ენის გამონახვა არმიასთან, უფრო სწორად, ოფიცრობასთან. თურქეთთან დაკავშირებით აუცილებელია ერთი თავისებურების გათვალისწინება: ეს არის არმიის როლი და არმიის ნნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თურქეთში არმიას ყოველთვის განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა. ასე იყო ოსმალეთის იმპერიაში ქემალისტურ რევოლუციამდე, ასევეა მდგომარეობა იყო და არის რესპუბლიკურ თურქეთში. არმია ეს ისეთი ფაქტორია, რომლის გამორიცხვის შემთხვევაში ჩვენთვის გაუგებარი და აუხსნელი იქნება თურქეთის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის მთავარი მოვლენები. არმია, ისევე როგორც ოსმალეთის იმპერიაში, რესპუბლიკურ თურქეთშიც ქვეყნის ბატონ-პატრონად გრძნობდა და გრძნობს თავს. ეს ძალაა, რომელიც კულისებიდან თოჯინების ბაფეებით მართავდა სახელმწიფოს. თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი და ფაქტიურად ერთპიროვნული მმართველი იყო ქემალ ათათურქი, სამხედრო პირი – გენერალი. მის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა მისი უახლოესი თანამებრძოლი გენერალი ისმეთ ინენიუ, ადრე ისმეთ ფაშას სახელით ცნობილი. ისმეთ ინენიუ კი პრეზიდენტის სავარძელში შეცვალა ჯელალ ბაიარმა, თავის დროზე ქემალ ათათურქის თანამებრძოლმა, მაგრამ სამოქალაქო პირმა. ამრიგად, პრეზიდენტი ჯელალ ბაიარი და პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი, ორივენი სამოქალაქო პირები იყვნენ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ პქონდა იმას, რომ ოდესღაც, თავის აბალგაზრდობაში ადნან მენდერესი თადარიგის ოფიცერი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა წრეებთან მან ნორმალური ურთიერთობის დამყარება ვერ შეძლო. თურქეთის რესპუბლიკის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში თურქეთის არმიამ პირველად იგრძნო, რომ ის ქვეყნის ბატონ-პატრონი არ იყო. პირველი შეხედვით, თითქოს, ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან სწორედ ადნან მენდერესის პრემიერ-მინისტრად ყოფნის დასაწყისშივე თურქეთი მონაწილეობას იღებს კორეის ომში. ეს იყო თურქეთის არმიისათვის პირველი ომი ანტანტის ქვეყნებთან ბრძოლების დასრულების შემდეგ. მენდერესის დროს თურქეთი შედის ნატოს ბლოკში. თურქეთის ნატოს ბლოკში შესვლა და კორეის ომში მონაწილეობა ამავე დროს ქვეყნის მილიტარიზაციას ნიშნავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არმია მაინც უკმაყოფილო იყო. ამის მიზეზი აღბათ არმიისადმი ადნან მენდერესის პირად დანოკიღებულებაში უნდა ვეძებოთ, ვინაიდან მის პოლიტიკაში აშკარად იგრძნობოდა არმიისადმი ერთგვარი უყურადღებობა და შეიძლება მისი დაუფასებლობაც. ბაიარი და მენდერესი ცდილობდნენ მოეპოვებინათ ამომრჩეველთა რაც შეიძლება მეტი ხმები. არმიის პირად შემადგენლობას კი საარჩევნო ხმის უფლება არ ჰქონდა და ამიტომ მენდერესმაც არ გამოიჩინა მის მიმართ არავითარი ინტერესი[32]. ცხოვრების სიძვირის სწრაფი ზრდა კი მძიმე მდგომარეობაში აყენებდა არმიის მეთაურთა შემადგენლობას, რომელიც მარტო ჯამაგირით ცხოვრობდა. ამის გამო დაიწყო ოფიცრების მასობრივი წასვლა არმიიდან[33]. მენდერესი კარგად ხედავდა არმიაში მზარდ უკმაყოფილებას და ოფიცერთა კორპუსის დამშვიდების მაგივრად თავისი განცხადებებით კიდევ უფრო აღიზიანებდა ოფიცრობას. არმიასა და ადნან მენდერესს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მწვავდება 1954 წლის შემდეგ, როდესაც მან საჯაროდ განაცხადა, რომ "თუ მოვინდომებ არმიას სათადარიგო ოფიცრების საშუალებით ვუხელმძღვანელებო"[34]. ამ სიტყვებმა არმიაში აღშფოთება გამოიწვია. სწორედ ან დროიდან იწყება არმიაში შეთქმულებათა პერიოდი, როდესაც იქმნება ოფიცრებისაგან შემდგარი მთავრობის საწინააღმდეგო ჯგუფები. უპირველეს ყოვლისა, ძლიერდება არმიაში რეფორმების ჩატარების მოთხოვნები[35]. საბოლოოდ არმიაში დაწყებულმა მოძრაობამ და იქ ჩასახულმა შეთქმულებებმა მიგვიყვანა კარგად ორგანიზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ შეთქმულებამდე, რომლის საფავეში ჩაედგა გენერალი ჯემალ გიურსელი. ამ შეთქმულებას ბედეგად მოჰყვა 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალება. თურქმა ავტორებმა, ისტორიკოსებმა და ჟურნალისტებმა ცადეს ამ შეთქმულებისა და გადატრიალების ისტორიის გამოკვლევა. 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შესახებ დღევანდლამდე გამოქვეყნებული შრომების მიხედვით დადასტურებულად უნდა ჩავთვალოთ ვერსია, რომ შეთქმულებას საფავე დაედო ქ.თუზლას მფრინავ-გამანადგურებელთა სკოლის ორი მსმენელის - ასისთავების დიუნდარ სეიჰანის და ორჰან ჯაბიბაის - შეხვედრით 1954 წლის მაისში. მათ საუბრის დროს დაებადათ აზრი, რომ შეექმნათ შეთქმულთა ორგანიზაცია და დაეწყოთ ბრძოლა. რა უნდოდათ საბოლოოდ, ან როგორ უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა, ამის შესახებ ჯერ წარმოდგენა თვითონაც არ ჰქონდათ. მათ მხოლოდ ფიცი დადეს. ასეთი ფიცი და ასეთი საუბარი იმ დროს ხშირი იყო თურქეთის არმიაში. მაგრამ გაგრძელება და რეალური შედეგი მხოლოდ ამ ორი ასისთავის შეხვედრას მოჰყვა. აქ დიდ როლს შემთხვევითობა თამაშობდა.

დიუნდარ სეიჰანი და ორჰან ჯაბიბაი შეუდგნენ თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელებას და თავისი აზრები გაანდეს სკოლის კიდევ რამდენიმე ოფიცერს. როდესაც თუზლას ავიაგამანადგურებელ მფრინავთა სკოლის კურსდამთავრებულები 1955 წელს სამხედრო აკადემიაში შევიდნენ სწავლის გასაგრძელებლად, იქ შეთქმულთა წრე კიდევ უფრო გაფართოვდა[36]. საჭიროა შევნიშნოთ, რომ პირველ ხანებში სიტყვა "ბრძოლა", რისთვისაც შეიქმნა შეთქმულება, არ გულისხმობდა აჯანყების მოწყობას. მათ სურდათ მხოლოდ და მხოლოდ არმიაში რეფორმების განხორციელება[37]. სახელმწიფოში არსებული კრიზისული მდგომარეობა ხელს უწყობდა შეთქმულთა რიგების სწრაფ ზრდას. თუზლას საჰხედრო სასწავლებელში შექმნილი ჯგუფის პარალელურად უკმაყოფილო ოფიცრების ჯგუფები იქმნებოდა არმიის სხვა ნაწილებშიც. 1956 წლის დასაწყისში მსგავსი ჯგუფი ანკარაშიც შეიქმნა. როდესაც სამხედრო აკადემიაში არსებულმა შეთქმულთა ჯგუფის წევრებმა სწავლა დაამთავრეს და ნაწილებში დაინიშნენ, საშუალება მიეცათ ასეთივე ჯგუფები უშუალოდ სამხედრო ნაწილებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეტმნათ. თუ პირველ ხანებში შეთქმულებს თვითონაც არ ჰქონდათ კარგად წარმოდგენილი, თუ რა უნდოდათ საბოლოოდ და ბრძოლის რა გზები უნდა აერჩიათ, 1957 წელს მათ უკვე აჯანყების გზა აირჩიეს[38]. მაგრამ რეალური მდგომარეობა ჯერ კიდევ ისეთი არ იყო, რომ აჯანყება გამარჯვებით დამთავრებულიყო. გამარჯვების იმედი მხოლოდ სტამბოლში ჰქონდათ, მაგრამ გამარჯვება სტამბოლში ვერ წყვეტდა საკითხს, მთავრობა ანკარაში იჯდა, ანკარაში კი გამარჯვება მეტად საეჭვოდ მოსჩანდათ. აქ კარგად გამოჩნდა, რომ ადგილი აქვნდა ვიწრო, მასებს მოწყვეტილი წრის შეთქმულებას, რომელიც ბოლოდ ოფიცრების ცალკე რაოდენობისგან შედგებოდა. ამავე დროს შეთქმულთა ჯგუფი შემადგენლობის მხრივ ერთგვაროვანი იყო, მათ შორის არავინ გამოირჩეოდა და ლიდერად არავინ ეამოდგებოდა. ამიტომ მხოლოდ ახლა დაიწყეს ფიქრი იმის შესახებ, თუ ვინ დაეყენებინათ შეთქმულების თავში. გასაგები იყო, რომ ერთი და იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო აჯანყების მეთაური და რესპუბლიკის მომავალი პრეზიდენტიც ჯელალ ბაიარის ჩამოგდების შემდეგ. შეთქმულებს კარგად ესმოდათ, რომ სჭირდებოდათ უკვე კარგი რეპუტაციის მქონე ადამიანი და არა ისეთი, რომელიც ავტორიტეტს აჯანყების მსვლელობაში მოიპოვებდა. ამავე დროს ლიდერი აუცილებლად სამხედრო პირი უნდა ყოფილიყო და თანაც უმაღლესი სამხედრო რანგის. სხვას არმია აჯანყების დროს არ ეაყვანებოდა. საერთო სახალხო აჯანყების მოწყობას კი ისინი არ აპირებდნენ. პირველი, ვისი კანდიდატურაც მათ წამოაყენეს, ეს იყო ისმეთ ინენიუ. თავიდან ყველაფერი მის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, თანაც უკმაყოფილო იყო ბაიარ-მენდერესის მთავრობით. შეთქმულთა მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე ისმეთ ინენიუმ ცივი უარით უპასუხა[39]. ეს გასაგებიც იყო, ვინაიდან ურთიერთობა დემოკრატიული პარტიის მთავრობასა და სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას შორის მწვავდებოდა. დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა დაიწყეს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის, რომელიც მათ ოპოზიციაში ედგა, შევიწროება: დახურეს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გაზეთი "ულუსი", ჩამოართვეს კონება და ა.შ. ადნან მენდერესს ისიც კი უნდოდა, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში საერთოდ აეკრძალა სახალხო-რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკური პარტია და ისმეთ ინენიუს ეშინოდა თავისი თანხმობით საბაბი არ მიეცა ადნან მენდერესისათვის. ისმეთ ინენიუს უარის შემდეგ შეთქმულთა ჯგუფები აგრძელებენ ლიდერის ძებნას. ეს არც ისე იოლი საქმე გამოდგა. ამასობაში შეთქმულ ოფიცერთა ჯგუფი ადგენს აჯანყების კონკრეტულ გეგმას. გათვალისწინებული იყო ყველაფერი: სად უნდა დაეპატიმრებინათ რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯელალ ბაიარი, სად - პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი. შეთქმულების არსებობის შესახებ ხმებმა მთავრობამდე მიაღწია. დაპატიმრებული იქნა რამდენიმე ოფიცერი. თუ დაპატიმრებები გაგრძელდებოდა, შეთქმულთა ისედაც მცირე ჯგუფი დაიშლებოდა. ყველაფერი ეს მოითხოვდა მოქნეფების დაჩქარებას. რამდენადაც შეთქმულები გამარჯვების შემთხვევაში არ აპირებდნენ რაიმე სოციალური რეფორმების ჩატარებას და რჩებოდნენ შეთქმულ ოფიცერთა მცირერიცხოვან ჯგუფად, რომელთაც არავითარი კავშირი არ პქონდათ მასებთან, აჯანყების დაწყების საკითხი მხოლოდ ლიდერის პოვნასთან იყო დაკავშირებული. როდესაც ისმეთ ინენიუსაგან უარი მიიღეს, შეუდგნენ სხვა ლიდერის ძებნას, თუმცა ესმოდათ, რომ ისმეთ ინენიუს ტოლს ვერ იპოვნიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მისი როგორც პოლიტიკური ლიდერის პოპულარობა ამ დროისათვის მნიშვნელოვნად შეირყა, რასაც უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნებიც მოწმობდა, მისი ავტორიტეტი კვლავაც დიდი იყო, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირისა და ქემალ ათათურქის ერთგული თანამებრძოლისა. შეთქმულები ერთ დროს შეჩერდნენ გენერალ ნეჯათ თეჯანის კანდიდატურაზე. ნეჯათ თეჯანი სარდლობდა კავკასიის საზღვრებთან განლაგებულ მესამე არმიას და მოელოდნენ მის დანიშვნას თურქეთის სახმელეთო ჯარების სარდლად[40]. საჭირო იყო მასთან მოლაპარაკება და შეთქმულთა მხარეზე გადმოყვანა. ეს შესაძლებელი შეიქნა მას შემდეგ, რაც ნეჯათ თეჯანი დანიშნეს სახმელეთო ჯარების სარდლად, რომლის შტაბი ანკარაში იმყოფებოდა. ასეთი პირი მეტისმეტად ხელსაყრელი იქნებოდა, ვინაიდან, როგორც სახმელეთო ჯარების სარდალს, მას შეეძლო მეთაურებად დაენიშნა შეთქმულთა მომხრეები. მაგრამ 1958 წლის ზაფხულში გენერალი ნეჯათი უეცრად გარდაიცვალა გულის შეტევით[41]. ნეჯათ თეჯანის ადგილი სახმელეთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარების სარდლის დანამდებობაზე დაიკავა გენერალმა ჯემალ გიურსელმა, თურქეთში, განსაკუთრებით სამხედრო წრეებში, საკმაოდ პოპულარულმა პიროვნებამ. მას ყველა ჯემალ-აღას უწოდებდა. შეთქმულებმა თავიანთი არჩევანი ამჯერად სწორედ ჯემალ-აღაზე შეაჩერეს. მას თითქოს ყველაფერი გააჩნდა, რაც შეთქმულებს სჭირდებოდათ აჯანყების წარმატებისათვის. ჯემალ-აღას ეკავა არმიაში საკვანძო დანამდებობა და მთელი სახმელეთო ჯარები, თურქეთის არმიის მთავარი ძალა, მის განკარგულებაში იყო. ჰქონდა თურქეთის არმიის ოფიცრის უმაღლესი წოდება და დიდი ავტორიტეტი. შეთქმულები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ არმია მას გაპყვებოდა. საჭირო იყო მხოლოდ ჯემალ-აღას თანხმობის მიღება. შეთქმულების არსებობის განდობა ჯემალ გიურსელისათვის მიანდეს შეთქმულთა ჯგუფის წევრს სადი კოჩასს, რომელიც ჩარიცხული იყო ჯემალ გიურსელის ამალაში, როდესაც ეს უკანასკნელი გაემგზავრა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სამხედრო მანევრებზე დასასწრებად 1959 წლის დასაწყისში. გიურსელის დათანხმება ძნელი არ აღმოჩნდა. საუბრიდან, რომელიც ქოჩასს და გიურსელს შორის გაიმართა, კიდევ ერთხელ გამოირკვა, რომ შეთქმულ ოფიცრებს მოქმედების რაიმე პროგრამა არ ჰქონდათ. მთავარი მოტივი ის იყო, რომ საჭიროა ქვეყნის გადარჩენა, ვინაიდან უახლოეს ხანში თურქეთში ხალხი ერთმანეთს დაერევა და ამ უბედურებისაგან ქვეყნის გადასარჩენად საჭიროა ნეიტრალური ძალის ჩარევა. ასეთი ერთადერთი ძალა კი არმიაა[42]. ეს იყო ძირითადი მოტივი, რომელიც იქნა წამოყენებული აგრეთვე სამხედრო წრეების მიერ 1971 წლის 12 მარტის და 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებების დროს. ამ მოტივში კარგად ჩანს თურქი ბურჟუაზიის შიში, რომ ეკონომიკურმა და მისგან გამოწვეულმა სოციალურმა კრიზისმა არ დააყენოს თურქეთში ბურჟუაზიული სისტემის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამრიგად, ყველა ეს სამი გადატრიალება შეიძლება განვიხილოთ როგორც პრევენტიული ზომა მოსალოდნელი სოციალური რევოლუციის თავიდან ასაცილებლად.

რაც შეეხება გიურსელს, როგორც ეს ქოჩასთან საუბარში გამოირკვა, მას მანამდე არასდროს უფიქრია მთავრობისათვის რაიმე სახით წინააღმდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობის გაწევა. როდესაც მოისმინა ქოჩარის ნათქვამი, რომ არსებობს შეთ-
ქმულ ოფიცერთა ჯგუფი, ჯემალ-აღამ სიფრთხილე გამოიჩინა, მოსაუბრე დაარ-
წმუნა, რომ ის, გენერალი ჯემალ გიურსელი, სანდო პიროვნებაა, მაგრამ
ამავე დროს გააფრთხილა, რომ არ გაერევა საქმეში, თუ ეს აუცილებლად
საჭირო არ იქნება და რომ აჯანყება შეიძლება იყოს მხოლოდ უკიდურესი სა-
შუალება. შემდეგ იკითხა, რას წარმოადგენდა შეთქმულთა ჯგუფი, იყო თუ
არა ის მრავალრიცხოვანი. სადი ქოჩარმა ჯემალ გიურსელს მდგომარეობა წა-
რმოუდგინა სულ სხვაგვარად, ვიდრე ეს იყო სინამდვილეში. თანახმად სადი
ქოჩარის ინფორმაციისა, ეს იყო ფრიად განშტოებული და ძლიერი ორგანიზა-
ცია. სინამდვილეში კი მას შემდეგ, რაც ჯგუფის წევრების ნაწილი დააპა-
ტიმრეს, ჯგუფი მნიშვნელოვნად შესუსტდა. ეს მოწმობდა იმას, რომ შეთქმუ-
ლება ოფიცრობაში დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა, მითუმეტეს მაშინ,
როდესაც ორგანიზაცია არსებობდა, მეთაური კი არ პყავდა და დაახლოები-
თაც არ იყო ცნობილი, თუ როდის ეყოლებოდა. სადი ქოჩარის მისია წარმა-
ტებით დაგვირგვინდა. 1960 წლის თებერვალში გენერალმა ჯემალ გიურსელმა
შეთქმულების ხელმძღვანელობა იკისრა, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც
მრავალი შენიშვნა გააკეთა და ისიც აღსანიშნავია, რომ მას თანხმობის
მიცემისას მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმი არ დასტყობია. მეთაურის პოვნ-
ის შემდეგ შეთქმულთა საქმემ დაიწყო დიდი სისწრაფით წინ წაწევა. ჯემალ-
აღამ მოქმედება დაიწყო იმით, რომ სადი ქოჩარის რეკომენდაციით გენერა-
ლური შტაბის ერთ-ერთი განყოფილების უფროსად შეთქმულთაგანი - ოსმან ქო-
ქსალი - დანიშნა. სადი ქოჩარმა და ოსმან ქოქსალმა 35 ოფიცრისაგან შე-
ადგინეს სია, რათა სიაში მყოფი პირნი სახმელეთო ჯარების სარდალს და
სამხედრო მინისტრს, ამ უკანასკნელ თანამდებობაზე იმ დროს იყო ადნან
მენდერესის ბავშვობის მეგობარი ეთპემ მენდერესი, დაენიშნათ ისეთ ადგი-
ლებზე, რომლებიც მათ საშუალებას მისცემდა, გაეწიათ ეფექტური დახმარე-
ბა აჯანყებულებისათვის. აჯანყებისათვის მთელი მზადება მიმდინარეობდა
საიდუმლოების სრული დაცვით, შეთქმულების აქტიურ მონაწილეებს მიენიჭათ
კონსპირაციული სახელები. ასე, მაგალითად, ჯემალ გიურსელი გახდა ფაიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეი. არჩეული იქნა 12 წევრისაგან შემდგარი ხელმძღვანელი კომიტეტი, -რომ-
გორც საბუთები მოწმობენ, ეს კომიტეტი ღიღბანს იმყოფებოდა ორგზოვულ და
გაურკვეველ მღგომარეობაში. პრინციპულად თიოქს აჯანყების საკითხი გა-
დაწყვეტილი იყო, მაგრამ ზუსტად ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რა და როგორ მო-
ემოქმედათ. ყოყმანობდნენ სახელმწიფო საქმეებში ჩარევის თაობაზედაც.
ვარაუდობდნენ, რომ ყველაფერი გაეკეთებინათ ისე, რომ სისხლი არ დაღვრი-
ლიყო[43]. გადაწყვეტილი იყო აგრეთვე, რომ ხელისუფლების ხელში ჩაგდების
შემდეგ სამხედრო მოსამსახურეები ღიღბანს არ უნდა დარჩენილიყვნენ ხელი-
სუფლების სათავეში. სულ ზოკლე დროში უნდა მოწყობილიყო საპარლამენტო
არჩევნები და ხელისუფლება უნდა დაბრუნებოდა სამოქალაქო პირებს პარლა-
მენტის და მინისტრთა საბჭოს სახით.

დემოკრატიული პარტიის მთავრობა ჩამოგდებული იქნა, ფაქტიურად, ყო-
ველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. პარტიის მეთაურების გასამართლების
დროსაც მათ დასაცავად არავითარ ორგანიზებულ გამოსვლებს არ ჰქონია ად-
გილი. პირველი შეხედვით ეს ერთგვარად უცნაურიც კი არის, ვინაიდან ამ
ათი წლის განმავლობაში მოხდა პარლამენტის სამი არჩევნები და სამივე
არჩევნებში დემოკრატიული პარტია იმარჯვებდა ხმების უმრავლესობით. ორ-
ჯერ: 1950 და 1954 წლების არჩევნებში მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავ-
ლესობა: 53,3 და 56, 6. მოწინააღმდეგე სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ
კი შესაბამისად: 39,9 და 34,3, ხოლო 1957 წელს დემოკრატიულმა პარტიამ
47,3, სახალხო-რესპუბლიკურმა კი 40,8. რაც შეეხება დეპუტატების ადგი-
ლებს, ისინი განაწილდა შემდეგნაირად: 1950 წელს პარლამენტში იყო 457
დეპუტატი, აქედან დემოკრატიულ პარტიას ჰქონდა 408 ადგილი, სახალხო-რე-
სპუბლიკურს - 69, 1954 წელს პარლამენტის დეპუტატების რიცხვი გაიზარდა
და მიაღწია 535, აქედან დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა 490, სახალხო-
რესპუბლიკურს - 30. 1957 წელს დეპუტატების რიცხვმა კვლავ იმატა და გა-
ხდა 602, აქედან დემოკრატიულ პარტიას ჰქონდა 419, სახალხო-რესპუბლი-
კურს 173. ამრიგად, თანახმად ამ მონაცემებისა, 1954 წლის შემდეგ შეიმ-
ჩნევა დემოკრატიული პარტიის პოპულარობის დაცემის ტენდენციები. ეს იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი სიმპტომი, რასაც უნდა დაეჯიქრებინა დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა. ამავე დროს, ჩნდება მეორე ტენდენცია - ეს არის მცირე პარტიების გაძლიერების ტენდენცია. ასე, მაგალითად, თუ 1950 წელს მცირე პარტიებიდან პარლამენტში არჩეული იქნა მხოლოდ 1 დეპუტატი და ამ პარტიებმა მიიღეს ამომრჩეველთა მხოლოდ 3 ,1%, 1957 წელს პარლამენტში არჩეული იქნა მცირე პარტიებიდან უკვე 8 დეპუტატი და მან მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 10,6%[44]. და კიდევ ერთი ტენდენციის შესახებ: აშკარად გამოიკვეთა თურქეთის მრავალპარტიული პოლიტიკური წყობისათვის დამახასიათებელი ნიშანი - ორი მთავარი პარტიის ბატონობა პოლიტიკურ ცხოვრებაში[45]. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა შემდგომშიც, 60-იან და 70-იან წლებში. მცირე პარტიები იწყებენ პარლამენტში პოლიტიკური დესტაბილიზატორის როლის შესრულებას. 50-იან წლებში ეს საწყის ფორმაშია და ჯერ არ ჩანს, მაგრამ 70-იან წლებში თურქეთის პოლიტიკური ცხოვრების ძლიერი ფაქტორი ხდება.

რამდენადაც სამხედრო გადატრიალებას ამზადებდა შეთქმულთა შედარებით ვიწრო წრე, მთავრობის ჩამოგდება თურქეთის საზოგადოებრიობისათვის მოულოდნელი იყო. გადატრიალებამ გარეგნულად დიდი სიხარული გამოიწვია თურქეთის დიდ ქალაქებში: სტამბოლში, ანკარაში, იზმირში და სხვ. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა იყო დემოკრატიული პარტიისა და მისი მთავრობის ასეთი მარცხის მიზეზი. იყო ეს შეთქმულება მხოლოდ შემთხვევითი, რამდენიმე ფანატიკოსი ოფიცრის ნამოქმედარი, თუ კანონზომიერი მოვლენა, რომელიც გამომდინარეობდა დემოკრატიული პარტიის მთავრობის პოლიტიკიდან. თვითონ თურქი ავტორები ამ საკითხში ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ასე, მაგალითად, ემრე კონგარი თავის კაპიტალურ შრომაში ამტკიცებს, რომ დემოკრატიული და სახალხო-რესპუბლიკური პარტიები ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ფრონტის წარმომადგენლები იყვნენ. სახალხო-რესპუბლიკური პარტია, მისი სიტყვით, წარმოადგენდა ეთათისტების, ხოლო დემოკრატიული პარტია ტრადიციონალისტ-ლიბერალების ფრონტს. პირველის საფავეში იდგნენ ბიუროკრატები, ხოლო მეორისა - მიწათმფლობელები და კაპიტალისტები.[46]. ავტორის თანახმად, ამ დროისათვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო-რესპუბლიკურ პარტიას ბიუროკრატიის გარდა სხვა ბაზა არ ჰყავდა და ეს პარტია შეძლებდა თავისი სიტყვის თქმას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმოქმედებდა არმიასთან ერთად. არსებობდა ერთი ფაქტორი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თურქეთის ისტორიის ამ პერიოდთან დაკავშირებით. დემოკრატიული პარტიის ლიდერები გამოსულნი იყვნენ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წიაღიდან, როგორც პარტიული მოღვაწეები სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელ პოსტებზე ყოფნისას ჩამოყალიბდნენ. მაგრამ იმის გამო, რომ ეყრდნობოდნენ ახლად აღზევებული კაპიტალისტების კლასს, ტრადიციონალისტებს და მუსლიმ ფანატიკოსებს, იყვნენ დასავლეთის ლიბერალური ეკონომიკის მოტრფიალენი და სურდათ, რომ თურქეთის ეკონომიკა განვითარებულიყო დასავლური გზით, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე, ისინი ალ მოჩნდნენ ეთაბისტების მოწინააღმდეგეთა რიგებში[47]. ამიტომ მათთვის ძნელი იყო აზროვნების იმ სტანდარტებზე უარის თქმა, რაც სახალხო-რესპუბლიკურ პარტიაში ყოფნის დროს შეუმუშავდათ. იგივე ტენდენციები, იგივე მისწრაფებები. მათ დაიწყეს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ იგივე პოლიტიკის გატარება, რასაც თვითონ ატარებდნენ სხვების მიმართ ამ პარტიაში ყოფნის დროს. მარცხის მიზეზთან დაკავშირებით არაერთი თურქი ავტორის მოსაზრება არსებობს. ჩვენ აქ ყველა მიზეზს ვერ ჩამოვთვლით. მაგრამ შევეცდებით შევარჩიოთ მათგან ისეთები, რომლებიც ყოველგვარი მიკერძოების გარეშე საკითხში გაგვარკვევენ. საკითხს ასე ვსვამთ იმიტომ, რომ ადნან მენდერესთან დაკავშირებით თურქეთი ორ ბანაკად გაიყო: მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. შეხლა-შემოხლა ამ ორ ჯგუფს შორის დღესაც არ შეწყვეტილა, მითუმეტეს, რომ თურგუთ ოზალის მთავრობის, რომელიც დღეს მართავს, სიმპათიები აშკარად იხრება ადნან მენდერესის მხარეს. ეს ერთგვარად გასაგებიცაა, ვინაიდან ადნან მენდერესის ეკონომიკური პოლიტიკა მიაჩნიათ ეთაბიზმის საწინააღმდეგო ლიბერალური პოლიტიკის დასაწყისად. თუმცა, როგორც დასაწყისში ვწერდით, ადრე თუ გვიან ეთაბიზმის პოლიტიკა თავის განვითარებაში უნდა გადაზრდილიყო ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკაში. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიბერალიზმი აქ, გარკვეული აზრით, პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობიდია, უფრო სწორად, ეს არის ეთაფიზმად შეგობილი ლიბერალიზმი. ამ-
ევს რა დემოკრატიული პარტიის, როგორც ტრადიციონალისტურ-ლიბერალური ბა-
ნაკის წარმომადგენლის პოლიტიკას ხელისუფლების საფავეში ყოფნის დროს,
ემრე კონგარი თვლის, რომ ამ პარტიის პირველი შეცდომა, როდესაც ის მმა-
რთველი პარტია გახდა, იყო ის, რომ მან ფაქტიურად უარი თქვა ტრადიციო-
ნალისტ-ლიბერალების ბანაკის პოლიტიკურ ლიბერალიზმზე და დაიწყო ეთაფის-
ტური ბანაკის შეზღუდვის პოლიტიკის გატარება და რომ დემოკრატიული პარტ-
ია ხელისუფლების საფავეში მოექცა მხოლოდ ეთაფისტური ფრონტის პოლიტიკუ-
რი წაყრუების შედეგად. დემოკრატიული პარტია სინამდვილეში სახალხო-რეს-
პუბლიკა პარტიამ შექმნა, მაგრამ დემოკრატიულმა პარტიამ ხელისუფლე-
ბის საფავეში ჩადგომის შემდეგ განაგრძო შეზღუდვების ის პოლიტიკა, რომ-
ელიც არსებობდა ერფპარტიული სისტემის არსებობის დრის, ანუ დაუწყეს დე-
ვნა სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას. ეს გასაგებიც იყო, ვინაიდან როგორც
ბაიარმა, ისე მენდერესმა გაიარეს ათათურქ-ისმეთ ფაშას სკოლა[48].

დემოკრატიული პარტიის მეორე შეცდომას წარმოადგენდა მთლიანად დაყრ-
დნობა კაპიტალისტებზე და ბიუროკრატიაზე, რომელთაც ქვეყანაში დიდი გავ-
ლენა ჰქონდათ, და კაპიტალიზმის განვითარების შედეგად წარმოქმნილი მუ-
შათა კლასის უგულვებელყოფა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ალ-
მავლობისა და წინსვლის მთელი სიმძიმე მუშათა კლასს აწვებოდა მხრებზე.
დასავლეთის ტიპის დემოკრატია, რომელიც თურქეთმა ნიმუშად თავისთვის აი-
რჩია, როგორც მისაბაძი მოდელი, კლასთა შორის წინასწორობას ქმნიდა თუ
ბურჟუაზია გაძლიერდებოდა როგორც კლასი იმდენად, რომ შეძლებდა თვითონ,
სხვისი ჩარევის გარეშე შეექმნა ისეთი მთავრობა, რომელიც მოწინააღმდეგე-
ებს დაჭაბნიდა, ასევ შემთხვევაში დემოკრატიულ მთავრობას მმართველობის
საფავეებს ვერავინ წაართმევდა ვერც წინათ, ვერც ამჟამად და ვერც მომა-
ვალში. კაპიტალისტები თურქეთში ვერ შეძლებენ მარტო შექმნან დიქტატორუ-
ლი რეჟიმი[49]. თურქეთის ამ ორ ძირითად პარტიას დაახლოებით ასევითვე და-
ხასიათებას აძლევენ სხვა ავტორებიც, მაგ., იუსთუნ ერგიულერი. მას მია-
ჩნია, რომ სახალხო-რესპუბლიკური პარტია წარმოადგენდა ქალაქებში ბიურო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრატებისა და ინტელიგენტების, ხოლო სოფლად კომერსანტ მიწათმფლობელებს და მოსახლეობის ზედა ფენის პარტიას. რაც შეეხება დემოკრატიულ პარტიას, მას ემხრობოდნენ კომერსანტები, მიწათმფლობელები, პატარა დაბების ვაჭრები და საწარმოთა მეპატრონეები და პატარა ქალაქების მცირეშემოსავლიანი მოქალაქეები[50].

სოციალური კონფლიქტის გამწვავება, რომლის ერთ-ერთი გარეგნული გამოხატულება იყო ახალგაზრდობის მღელვარება, არათუ შესამჩნევად ძლიერდება 50-იანი წლების დასასრულს, არამედ რაც მთავარია, სწორედ ამ დროისათვის დაისახა ძალების სწრაფი პოლარიზაციის ტენდენცია - მემარჯვენეებად და მემარცხენეებად. შესამჩნევი გახდა აგრეთვე, რომ ამ მოძრაობაში, მის როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე ფრთაზე ფეხს იკიდებს ექსტრემისტული იდეები, რის შედეგადაც როგორც მთავრობის, ასევე ერთმანეთის წინააღმდეგაც ორივე მხარე მიმართავს ანარქისტულ-ტერორისტულ მეთოდებს. მაგრამ ეს უკვე შემდეგში. 50-იანი წლების დასასრულისათვის კი საამისო მხოლოდ პირველი სიმპტომები იყო. იმას, თუ რა მასშტაბებს მიიღებდა ტერორი და ანარქია თურქეთში, ჯერ კიდევ ვერ წარმოიდგენდნენ, მაგრამ ის, რაც დაიწყო, მაინც აშინებდა საზოგადოების ყველა ფენას, მათ შორის ბურჟუაზიულ და მსხვილ მიწათმფლობელთა ზედა ფენასაც. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა დემოკრატიული პარტიის პოპულარობის დაცემის პროცესს. საშინაო პოლიტიკურ ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის შეცვლა 50-იანი წლების დასასრულისათვის გასაგებს ხდიდა, რომ დემოკრატიული პარტიის ბატონობა არ უნდა ყოფილიყო იმდენად მტკიცე, რომ ადნან მენდერესს არ ოასჭირებოდა უფრო ძლიერი, უფრო ერთგული ძალები, ვიდრე მას ჰყავდა. ძნელია იმის თქმა, გრძნობდა თვითონ ადნან მენდერესი მისთვის შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას თუ არა. მას არ შეეძლო არ დაენახა, რომ მისი მთავრობის პოპულარობა ეცემოდა, როგორც ამას მეტყველებდა უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები. არსებობდა სხვა სიმპტომებიც, რომლებსაც არ მიაქციეს ყურადღება არც ბაიარმა და არც მენდერესმა, დიდი იყო ამ შემთხვევაში თვითდარწმუნების როლი, რაც მათ ახასიათებდათ. შეთქმულებმა, როგორც ცნობილია, ადვილად მიაღწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს წარმატებას, რასაც, ალბათ, თვითონ შეთქმულნიც არ მოელოდნენ. ამის შესახებ არაერთ ავტორს ჰქონდა მსჯელობა თავის ნაშრომებში. ასეთი წარმატების მიზეზების ნათლად წარმოსადგენად გასარკვევია რამდენიმე საკითხი, კერძოდ, რა იყო რეალური დემოკრატიული პარტიის მმართველობის პერიოდში და რა არარეალური, რა იყო ტრადიციული და რა ახალი, მანამდე არარსებული, და საერთოდ, შეეძლო თუ არა ბაიარ-მენდერესის მთავრობას შეეცვალა თურქეთის სახელმწიფოსათვის მისი ხასიათი და მოსახლეობის ფსიქოლოგიური განწყობა.სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის რღვევა მოითხოვს ამ სახელმწიფოს მოსახლეობის ფსიქოლოგიურ გარდაქმნას,სრულიად ახალ ვითარებასთან ადაპტირებას. მაგრამ დემოკრატიას თურქეთში თავისი გაგება და თავისი ფილოსოფია აქვს. ზია გიოქალფი, თანამედროვე თურქიზმის თეორეტიკოსი, როდესაც თურქეთის მომავლის ისტორიულ პერსპექტივას სახავდა, ლაპარაკობდა მომავლის მმართველობის ფორმაზე, დისციპლინირებულ დემოკრატიაზე. დემოკრატიის ეს თურქული ვარიანტი თურქეთში არსებობს იქ რესპუბლიკის შექმნის დღიდან და არ შეცვლილა არც მრავალპარტიული სისტემის შემოღების შემდეგ. "დისციპლინირებული დემოკრატიის" უარყოფა თურქეთის მიერ გამორიცხული იყო, მასზე უარის თქმას ვერ გაბედავდა თურქეთის ვერც ერთი მთავრობა, რარიგადაც ძლიერი არ უნდა ყოფილიყო ის, თუკი მას არ სურდა თავისივე არსებობის კითხვის ქვეშ დაყენება. ასეთი იყო ბაიარ-მენდერესის მთავრობის "დისციპლინირებული დემოკრატიის" შინაარსი, რაც კარგად ჩანს გამოთქმაში: "ხალხის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ხალხის საკეთილდღეოდ"[51]. ეს ფორმულა - "დისციპლინირებული დემოკრატია" - გადასხვაფერებული იყო აგრეთვე, როგორც "დემოკრატია, რომელსაც მართავენ"[52]. ამ შემთხვევაში ჩვენ რაიმე ახალ მოვლენასთან არა გვაქვს საქმე. აქ თურქული თავისებურებაა. ეს იყო შეხვედრა თურქული ბურჟუაზიული "მედასავლეთობისა" და "მოდერნიზმისა" თურქულ ფეოდალიზმთან, რამდენადაც თურქულ ეკონომიკასა თუ იდეოლოგიაში ეს ორი, ერთმანეთის უარმყოფელი მოვლენა ერთად არსებობდა და მათ ურთიერთობაში მხოლოდ კომპრომისის გზა იყო შესაძლებელი. ეს კომპრომისი სახელმწიფო მართვისა და იდეოლოგიურ სისტემაში გამოიხატა პოლიტიკურ რეჟიმში, რომელიც თურქეთში "დისციპლინირებული დემოკრატიის" სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელით გახდა ცნობილი. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა: გარეგნულად - დემოკრატია, შინაარსობრივად - დიქტატურა. შეიძლება ამ მოვლენას ეწოდოს აგრეთვე დემოკრატიის თურქული რეჟიმი. სწორედ ამ "დისციპლინირებული დემოკრატიის""რეჟიმის ეკონომიკური დასაყრდენი იყო ეთაფიზმი. ამიტომ ათათურქ-ინენიუს და ბაიარ-მენდერესის მთავრობების ეკონომიკური პოლიტიკა ათათურქ-ინენიუს პერიოდში არ უნდა განვიხილოთ როგორც ეთაფიზმი, ხოლო ბაიარ-მენდერესის დროს - როგორც მისი უარყოფა, არამედ როგორც ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვა სტადიები. იგივე ითქმის დემოკრატიის შესახებაც, " რომელსაც მართავენ", ვინაიდან ასეთი დემოკრატიის პირობებში საზოგადოებრივი აზრი შეზღუდულია[53].

ამრიგად, ბაიარ-მენდერესის მთავრობას არსებითად არაფერი შეუცვლია. კიდევ ერთი ნაბიჯი წინ მრავალპარტიული სისტემის შემოღების შემდეგ გადადგმული არ ყოფილა. სოციალური კონფლიქტი ქვეყნის შიგნით კი უფრო გამწვავდა. ასეთ პირობებში თურქეთის ყველა წინა მთავრობის დასაყრდენი ძალა - არმია - დემოკრატიულ მთავრობას, ფაქტიურად, მისივე პოლიტიკის შედეგად, ხელიდან გამოეცალა.

თურქული ისტორიოგრაფია ომისშემდგომი პერიოდის თურქულ საზოგადოებას ორ ძირითად ბანაკად ყოფს. ესენი არიან ეთაფისტები და ტრადიციონალისტ-ლიბერალები[54]. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის გარჩევას, თუ რამდენად ზუსტია ეს სახელწოდებანი და რამდენად ზუსტად ასახავენ ისინი ამ ბანაკების სოციალურ-პოლიტიკურ სახეს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არ მიგვაჩნია სწორად ამ ორი ჯგუფის ერთმანეთისაგან ასეთი პრინციპული გაფიშვა და მეორე ჯგუფის მოწყვეტა ეთაფისტური პოლიტიკისა და ეთაფისტური იდეებისაგან, ვინაიდან პირველი ჯგუფი შემოკრებილი იყო სახალხო-რესპუბლიკური პარტიის; მეორე კი დემოკრატიული პარტიის გარშემო. სახალხო-დემოკრატიული პარტიის მარცხი 1950 წლის არჩევნებში მოწმობდა, რომ არსებობდა კრიზისი არა მარტო ათათურქის მიერ შექმნილი პოლიტიკური პარტიის შიგნით, არამედ თურქული საზოგადოებრიობის მთელ იმ ნაწილში, რომელიც მისი ერთგული დარჩა დემოკრატიული პარტიის შექმნის შემდეგ. აქ გასათვალისწინებელია კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თავისებურება, კერძოდ ის, რომ, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დემოკრატიული პარტია მშვიდად გაცოლეყო სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას. ეს არ ყოფილა რაიმე განხეთქილების შედეგი (ეს კი, თავის მხრივ, არ ნიშნავს, რომ სახალხო-რესპუბლიკურ პარტიაში ადგილი არ ჰქონია აზრთა სხვადასხვაობასა და უთანხმოებას). თუმცა ისიც უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, რომ სახალხო-რესპუბლიკურიდან დემოკრატიულში გადავიდა უმთავრესად სახალხო-რესპუბლიკური პარტიის უკმაყოფილო ელემენტი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ უკმაყოფილება ეხებოდა პარტიის პოლიტიკის პრინციპულ საკითხებს. იყვნენ პირადად უკმაყოფილნი, პარტიული და სახელმწიფო კარიერის მოსურნე რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ ახლადშექმნილ დემოკრატიულ პარტიაში თანამდებობებს მიიღებდნენ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დემოკრატიული პარტია შეიქმნა თვით სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ინიციატივით.

ზემოხსენებულ ორ ჯგუფში, ისევე როგორც მთელ თურქულ საზოგადოებაში, ღრმა სოციალური პროცესები მიმდინარეობდა. ეს პროცესები თავს იჩენს პოლიტიკის სფეროშიც. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხო ეთათისტების, ანუ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გარშემო შემოკრებილ ბანაკს. სახალხო-რესპუბლიკური ბანაკის კრიზისის შედეგად ბანაკმა თანდათანობით დაშლა დაიწყო. მისი ერთი ნაწილი რჩება ეთათისტური, ანუ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ორთოდოქსალურ პოზიციებზე და ინარჩუნებს თავის საერო-ბიუროკრატიულ ხასიათს, მეორე ნაწილი კი "მემარცხენე დემოკრატიულ" ჯგუფად ჩამოყალიბდა და შეეცადა მოეპოვებინა ხალხის ფართო მასების მხარდაჭერა. კიდევ ერთი ჯგუფი გამოვიდა "მუშათა" კლასის სახელით და გეზი მუშებისა და გლეხებისაკენ აიღო, ხოლო ამ ბანაკიდან ერთმა ნაწილმა, რომელსაც არ ჰქონდა მატერიალური დასაყრდენი, შექმნა დაჯგუფებები, რომლებიც მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რომ ერთმანეთს იდეოლოგიურად ებრძოდნენ და თავის წვრილბურჟუაზიულ რადიკალიზმს საქვეყნოდ უსვამდნენ ხაზს[55]. ამრიგად, ეთათისტთა ბანაკის დაშლის შედეგად აღმოცენდა აგრეთვე ახალი მემარცხენე და მემარჯვენე ჯგუფები და დაჯგუფებები. ცვლილებები მიმდინარეობდა მეორე ბანაკშიც. რაც მთავარია, შეიცვალა მისი პროპაგანდისტული ფრაზეოლოგია და ნაწილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსიც, რიდაც ფაქტიურად ამ პარტიამ უარი თქვა პოლიტიკურ ლიბერალიზმზე[56]. მთავარი პოლიტიკური პარტიების შიგნით მემარჯვენე და მემარცხენე მიმართულების ჯგუფებისა და დაჯგუფებების შექმნამ და გამრავლებამ და მათ შორის ბრძოლის დაწყებამ, რაც ხშირად მეტად მწვავე და უხეშ ხასიათს იღებდა, თავის მხრივ, აგრეთვე შეუწყო ხელი ანარქიზმისა და ტერორიზმის განვითარებას. ეკონომიკური ბუმი, რომელსაც თითქოს თურქეთი განიცდიდა ბაიარ-მენდერესის მთავრობის პოლიტიკის შედეგად, სინამდვილეში მოსახლეობის უმრავლესობისათვის უკუშედეგს იძლეოდა. მიუხედავად მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის აღმავლობის მიზნით შედგენილი გეგმებისა, მოსავალი კარგი არ იყო და 50-იანი წლების მეორე ნახევარში თურქეთი ისევ იძულებული იყო უცხოეთიდან შემოეტანა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნაწილი. ეს კი იწვევდა იმპორტის ზრდას და თურქული ვალუტისათვის ინფლაციის ტენდენციებს. ლირის კურსმა დაცემა დაიწყო, რაც თავის მხრივ სიძვირის გამომწვევი და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემის მიზეზი გახდა. ფასების ინდექსი 1953 წლიდან 1958 წლამდე 150% გაიზარდა[57]. ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება იმ ფაქტორთაგანი იყო, რომელიც ხელს უწყობდა დემოკრატიული პარტიის მთავრობის ავტორიტეტის დაცემას და მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი ძალების გააქტიურებას. მთავრობას აკრიტიკებდნენ მისი მოღვაწეობის ყველა სფეროში, მათ შორის სოციალურ სფეროშიც. აღნიშნავდნენ, რომ დემოკრატიული პარტიის მთავრობის არსებობის პერიოდში თურქეთში სკოლებზე მეტი მეჩეთები აშენდა[58]. თურქეთში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა აგრეთვე ადნან მენდერესის პოლიტიკა კვიპროსის მიმართ. იყო ერთი ფაქტორი, რომელიც აერთიანებდა ინტელიგენციას, ახალგაზრდობას და ოფიცრობას. სამივე ეს ჯგუფი შედგებოდა განათლების მქონე პირებისაგან, მაგრამ ამავე დროს ცხოვრების სიძვირის ზრდის გამო კრიტიკულ მდგომაოეობაში იმყოფებოდა[59]. ყველაფერი ეს კიდევ უფრო აფართოებდა ბაიარ-მენდერესის მთავრობით უკმაყოფილოთა ისედაც ფართო წრეს. სწორედ ამისი ანარეკლი იყო ის, რომ 1957 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად დემოკრატიული პარტიის დეპუტატთა რაოდენობა თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში შემცირდა 71-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება თურქეთში ხელს უწყობდა შეთქმულთა ჯგუფის მიზნების განხორციელებას. შეთქმულებს ახლა ლიდერიც პყავდათ ჯემალ გიურსელის სახით. ყველა შეთქმულისათვის უკვე ცხადი იყო, რომ მათ ხელისუფლება უნდა ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ რას გააკეთებდნენ და როგორ მოიქცეოდნენ შემდეგ, ამის შესახებ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. თვითონ ჯემალ გიურსელს შედარებით თავშეკავებული პოზიცია ეკავა, ის წინააღმდეგი იყო, რომ სამხედრო გადატრიალების შემდეგ დამყარებულიყო თურქეთში სამხედრო დიქტატურა. ეს ერთგვარად გასაკვირიც იყო განვითარებული ქვეყნის არმიის მეთაურისათვის. ქემალ-ალას ვარაუდით, გაპარჯვებისთანავე დაუყოვნებლივ დაიწყებდა ზრუნვას ახალი კონსტიტუციის შესადგენად და ძალაუფლების სამოქალაქო პირებისათვის დასაბრუნებლად. კონსტიტუცია და ახალი საარჩევნო კანონი უნდა მომზადებულიყო იმ ანგარიშით, რომ ახალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარებულიყო გადატრიალების შემდეგ სამ თვეში [60]. ამრიგად, სამი თვის შემდეგ თურქეთში უნდა ალმდგარიყო ნორმალური ვითარება. შეთქმულთა ჯგუფმა თანდათანობით მიალწია იმას, რომ მათი კანდიდატები დაინიშნა არმიაში ისეთ თანამდებობაზე, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა აჯანყების წარმატებისათვის. ასე, მაგალითად, მათ შეძლეს, რომ სამხედრო მინისტრი ეთპემ მენდერესი დაერწმუნებინათ, რომ ე.წ. დაცვის ლეგიონის, რომელიც იცავდა პარლამენტის შენობასა და მთავრობის სხვა დაწესებულებებს, მეთაურად დაენიშნათ მათი ერთგული პირი ოსმან ქოქსალი, ხოლო მის ადგილას, გენერალური შტაბის განყოფილების გამგედ ჯემალ-ალას დახმარებით დაინიშნა სუბჰი ქარამანი, ასევე შეთქმული. დაცვის ლეგიონის სარდლობა საკვანძო თანამდებობას წარმოადგენდა. ამრიგად, აჯანყების დაწყებისთანავე მთელი მთავრობა და პარლამენტი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდებოდა. ახლა უკვე შეიძლებოდა იმედი ჰქონოდათ, რომ აჯანყება წარმატებით დამთავრდებოდა, თუკი მთავრობას, პრეზიდენტის ჩათვლით, მისი დაწყებისთანავე დააპატიმრებდნენ. უნდა დაეპატიმრებინათ აგრეთვე დეპუტატები დემოკრატიული პარტიიდან.

1959 წლის დეკემბერში შეთქმულთა ორგანიზაციის წევრები შეუდგნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობას აჯანყების და მისი შემდგომი მოქმედების გეგმის შესამუშავებლად. თათბირი ანკარაში გაიმართა. აქ გამოირკვა, რომ შეთქმულთა ორგანიზაციის წევრებს შორის ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა მერყეობას. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო გადატრიალება უნდა მომხდარიყო 1960 წელს, იმ შემთხვევაში, თუ არ ჩატარდებოდა პარლამენტის არჩევნები ანდა ჩატარდებოდა და არჩევნების შედეგები ფალსიფიცირებული იქნებოდა[61]. ამავე თათბირზე გამოირკვა, რომ შეთქმულთა შორის არსებობდა აზრთა სხვაობა. არ არსებობდა საერთო აზრი იმის შესახებაც, თუ რა უნდა მოემოქმედათ ხელისუფლების ხელში აღების შემდეგ.

1960 წლის დასაწყისიდან თურქეთში მდგომარეობა თანდათან დაიძაბა. ადანაში ერთმანეთს დაერივნენ დემოკრატიული და სახალხო-რესპუბლიკური პარტიების წევრები, პარლამენტში - ამ პარტიების წარმომადგენელი დეპუტატები. ბაიარ-მენდერესის მთავრობამ დაიწყო მთავრობის მოწინააღმდეგე ჟურნალისტების დაპატიმრება და გასამართლება[62]. ამ ამბებს მოჰყვა ის, რომ ადნ ნ მენდერესი და ისმეთ ინენიუ ურთიერთშეტევაზე გადავიდნენ. ყოველდღე ერთმანეთს ახალ-ახალ ბრალდებებს უყენებდნენ. დიდი მღელვარება გამოიწვია ამბებმა, რომლებიც მოჰყვა ისმეთ ინენიუს ჩასვლას კონიაში. პოლიციამ ცრემლდენი ყუმბარებით გაფანტა ხალხი, რომელიც მის მისასალმებლად შეგროვდა. ეს ყველაფერი აძლიერებდა მღელვარებას ხალხში. განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქალაქ იეშილჰისარის ამბებს, სადაც ერთმანეთს დაერივნენ დემოკრატიული და სახალხო-რესპუბლიკური პარტიების მომხრეები და პოლიციამ იარაღი იხმარა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მომხრეების წინააღმდეგ[63]. ძლიერდება გამოსვლები უმაღლეს სასწავლებლებშიც. დამახასიათებელია, რომ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო მემარცხენეები, არამედ მემარჯვენეებიც. ასე, მაგალითად, თებერვალში მემარჯვენე სტუდენტების მღელვარება გამოიწვია ანკარის უნივერსიტეტში მუსლიმანური საღვთავის (მესჯიდი) დახურვამ. მარტის დასაწყისში ანკარის სულთან აჰმედის ტექნიკურ სკოლაში სტუდენტებს შორის არეულობას ჰქონდა ადგილი. მარტის შუა რიცხვებში კვლავ გამოსვლები მოეწყო ანკარის უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტებს სიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვიდ მიმარდა ისმეთ ინენიუმ. მდგომარეობის გამწვავების გამო 1960 წლის 19 აპრილს შეიქმნა თურქეთის მეჯლისის სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ვითარება. მის პირველსავე დადგენილებაში ნათქვამი იყო: 1. აკრძალულია პარტიული ყრილობებისა და კრებების ჩატარება, აკრძალულია პარტიების პოლიტიკური მოღვაწეობა, აკრძალულია აგრეთვე ახალი ორგანიზაციების შექმნა. 2. აკრძალულია ყოველგვარი გამოცემები, რომლებიც ეხება ამ კომისიის საქმიანობას. 3. აკრძალულია კომისიის შექმნასთან დაკავშირებით მეჯლისში წარმოებული კამათის ტექსტის გამოქვეყნება[64].

4 აპრილს ანკარაში, ყიზილაის მოედანზე, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ცენტრალური გამგეობის შენობის წინ ახალგაზრდობამ დემონსტრაცია მოაწყო. დემონსტრაცია არ ყოფილა მრავალრიცხოვანი, მასში სულ რაღაც 150-200 კაცი მონაწილეობდა. პოლიციამ დემონსტრაცია გარეკა და 22 კაცი დააპატიმრა. ამ გამოსვლას მოპყვა ადნან მენდერესის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა იზმირის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების წინაშე და ისმეთ ინენიუს მიმართვა თურქი ახალგაზრდებისადმი. 27 აპრილისთვის მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა სტამბოლის უნივერსიტეტის სტუდენტების გამოსვლასთან დაკავშირებით. სტუდენტები პროტესტს აცხადებდნენ მეჯლისის მიერ სპეციალური კომისიის შექმნის გამო[65]. სტუდენტებსა და ახალგაზრდობას მიტინგებზე და შეკრებებზე გამოპქონდათ რეზოლუციები, რომლებითაც გმობდნენ დემოკრატიული პარტიის მთავრობის მოქმედებას და აცხადებდნენ, რომ დემოკრატიულმა პარტიამ ნორმალური მმართველობის სისტემას გადაუხვია, დემოკრატია უარყო და დაიწყო დიქტატორული მეთოდებით მართვა[66]. სტამბოლში სახალხო-რესპუბლიკური პარტიის სტუდენტური ორგანიზაციის წევრებმა, როდესაც გაიგეს, რომ მთავრობამ აკრძალა ისმეთ ინენიუს მიერ მეჯლისში წარმოთქმული სიტყვის გავრცელება, აიწყეს ამ სიტყვის გამრავლება და ქვეყნის ყველა კუთხეში გაგზავნა. მდგომარეობა ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. წინადადებებში, რომლებიც შემოდიოდა მიტინგებზე, აშკარად იგრძნობოდა ანარქისტულ-ტერორისტული იდეების გავლენა. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ მიტინგზე შემოტანილი იყო წინადადება, რომ ღალუმებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აეფეთქებინათ დემოკრატიული პარტიის გამგეობის ბინა. მთავრობის წინააღმდეგეთა დროშად თანდათან იქცა ისმეთ ინენიუ, როგორც ოპოზიციაში მყოფი პარტიის ლიდერი. ეს იყო დრო, როდესაც ისმეთ ინენიუს ავტორიტეტი ისევ გაიზარდა, თუმცა ხანმოკლე დროით. აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ინენიუ თურქი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომის გმირი იყო და ამიტომ ქვეყნის გადარჩენისათვის, ახალგაზრდობის წარმოდგენით, ყველაზე უფრო გამოსადეგი პიროვნება. რაც შეეხება სახელმწიფო გადატრიალებისათვის მზადებას ანდა შეთქმულთა ჯგუფის არსებობას, ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, ამიტომ მთელ იმედებს ინენიუზე ამყარებდნენ. ბუნებრივია, წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმაზე, რომ თავისი გამოსვლებით მთავრობის წინააღმდეგ აჩქარებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას.

29 აპრილი კრიტიკული დღე იყო. სტამბოლის უნივერსიტეტის ბაღში 7 ათასამდე ახალგაზრდამ მოიყარა თავი. აქ იყვნენ სტამბოლის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, მათ შორის ლიცეუმების მოსწავლეებიც. შეკრებილები მოითხოვდნენ, რომ მათთვის მიეცათ რამდენიმე დღის წინ პოლიციელების მიერ დახოცილ სტუდენტთა ცხედრები. იმავე დღეს მიტინგები ქალაქის სხვა უბნებშიც გაიმართა. ყველგან მოითხოვდნენ ადნან მენდერესის მთავრობის გადადგომას. დიქტატორული რეჟიმის გაუქმებას. 30 აპრილს დემონსტრანტებს მასობრივად შეემატნენ ლიცეუმების მოსწავლეები. მიტინგები შეუწყვეტლივ გრძელდებოდა 1,2,3,4 მაისს. 4 მაისს დემონსტრანტთა რიგებს რობერტ კოლეჯის ლიცეუმის მოსწავლეებიც შეუერთდნენ. ამ დღეს გადაწყვეტილი იქნა, რომ სტუდენტთა ჯგუფები სტამბოლიდან გაემგზავრებოდნენ თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში, რათა იქაც მოეწყოთ მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. დაიწყო არაღეგალურად დაბეჭდილი პროკლამაციების გავრცელება, რომლებითაც მოითხოვდნენ დემონსტრანტთა მკვლელების დასჯას, მკვლელების მთავრობის გადადგომას და სხვა. იმავე დღეებში სტუდენტებმა კავშირი გააბეს მუშებისა და ხელოსნების ორგანიზაციებთან და ისინიც თავისკენ მიიმხრეს. 25 მაისს შეკრებილმა ახალგაზრდობამ გადაწყვიტა პარასკევს, 27 მაისს, მოეწყო დიდი დემონსტრაცია. მოვლენათა მსვლელობა აჩქარებდა შეთქმულთა ჯგუფს; მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის მასობრი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ობის ზრდას, მასში მშრომელების ახალი ფენების ჩაბმას შეიძლება გამოეწვია შორს მიმავალი შედეგები. ხვალ მთავრობის გადადგომის მოთხოვნასთან ერთად შეიძლებოდა წამოეყენებინათ რადიკალური სოციალური რეფორმების მოთხოვნა. ამიტომ შეთქმული ოფიცრების წინაშე იდგა ამოცანა, რაც შეიძლება მალე ჩამოეგდოთ ბაიარ-მენდერესის მთავრობა და ჩაეკროთ მის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა მანამდე, სანამ მას არ მიელო სახელმწიფოში არსებული ბურჟუაზიული სისტემის წინააღმდეგ მოძრაობის ხასიათი. 26 მაისს შეთქმულ ოფიცერთა ჯგუფი ამთავრებდა აჯანყებისათვის მზადებას. სტამბოლში ოფიცრებმა საბრძოლო გეგმა შეიმუშავეს და მოვალეობანი გაინაწილეს. შედგენილი გეგმის მიხედვით აჯანყება 27 მაისს დილის 3 საათზე უნდა დაწყებ ლიყო, ხოლო 4 საათისათვის აჯანყებულ ნაწილებს დათქმული ობიექტები ხელთ უნდა ეგდოთ[67].

27 მაისს, განთიადისას აჯანყებულთა პირველი ტანკები შევიდნენ ანკარასა და სტამბოლში. აჯანყებულებმა სწრაფად დაიკავეს საკვანძო პუნქტები: მთავრობის დაწესებულებები, აეროდრომები, ფოსტა-ტელეგრაფი, რადიოკვანძი. დაიწყო მთავრობის წევრების დაპატიმრება. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ პრეზიდენტი ჯელალ ბაიარი, დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები, მინისტრები, მეჯლისის დეპუტატები დემოკრატიული პარტიიდან. რამდენიმე საათის შემდეგ დააპატიმრეს პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი, რომელიც ამ დროს ესქიშეპირის რაიონში იმყოფებოდა. დილით თურქეთის ახალი სამხედრო ადმინისტრაციის სახელით ანკარის რადიოთი გამოვიდა პოლკოვნიკი ალფარსლან თურქეში და გამოაცხადა, რომ ძალაუფლება ხელში აიღეს შეიარაღებულმა ძალებმა.

შედგენილი იქნა ახალი მინისტრთა საბჭო, რომლის სათავეში ჩადგა ჯემალ გიურსელი. მანვე დაიკავა თავდაცვის მინისტრის პოსტი. რეალური ძალაუფლება კი გადავიდა ეროვნული ერთიანობის კომიტეტის ხელში, რომელსაც იგივე ჯემალ გიურსელი ხელმძღვანელობდა და რომელშიც აჯანყების მომწყობი კომიტეტის წევრები შევიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადატრიალება მოაწყო თურქეთის არმიამ, უფრო სწორად, მისმა ოფიცრობამ. თურქეთის არმიის ოფიცრობა კი თავის დიდ უმრავლესობაში, განსაკუთრებით მისი ზედაფენა, დღესაც რჩება ნატოს ბლოკის ერთგული. იცოდნენ ამერიკელებმა და ნატოს ბლოკის სხვა წევრებმა, თუ არა, რომ მზადდებოდა გადატრიალება? ამის შესახებ სხვადასხვა აზრები და მოსაზრებანი არსებობს. დანამდვილებით, დასაბუთებულად რაიმეს თქმა ძნელია. ცნობილია მხოლოდ ერთი: 27 მაისს, დილის 4 საათზე ანკარის რადიოთი წაკითხული თურქეთის შეიარაღებული ძალების განცხადების ტექსტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თურქეთი თავისი დასავლეთის მოკავშირეების ერთგული რჩება, ანკარაში, ამერიკის საელჩოს ჭიშკარში შეაგდეს. ამით თურქეთის ახალმა ხელისუფლებამ დაამშვიდა თავისი, როგორც ნატოს, ასევე სენტოს, ბლოკის მოკავშირეები[68]

რჩება კიდევ ერთი საკითხი, რომელიც იმთავითვე დაისვა და ალბათ დაისმება მომავალშიაც: რა როლს თამაშობდა ისმეთ ინენიუ 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალებაში. მან რომ უარი თქვა ჩამდგარიყო შეთქმულთა სათავეში, ეს ცნობილია. ეს ნიშნავს, რომ მან იცოდა, რომ ოფიცერთა შეთქმულება არსებობდა, მაგრამ შემდგომში პქონდა თუ არა რაიმე ინფორმაცია შეთქმულთა საქმიანობისა და აჯანყების დღის შესახებ, პირდაპირი, დადასტურებული ცნობა ამის შესახებ არ არსებობს. თვითონ ისმეთ ინენიუ უარყოფდა რაიმე ორგანიზაციულ კავშირს შეთქმულებთან. უარყოფდა იმასაც, რომ წამქეზებლის როლში გამოდიოდა. ამავე დროს დადასტურებულია, რომ აჯანყების ღამეს მას სახლში მშვიდად ეძინა. ისმეთ ინენიუსთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის პუბლიცისტი და ისტორიკოსი გიუნიეით არჯაიურექი: "თურგუთ გიოლუს, ოომელიც 1954 წლის არჩევნების შემდეგ არ მოშორებია ისმეთ ფაშას და რომელიც იმ დროს იყო სახალხო-რესპუბლიკური პარტიიდან მეჯლისის ახალგაზრდა დეპუტატი, ხშირ-ხშირად ვეკითხებოდი: იცოდით თუ არა, რომ აჯანყება დანიშნული იყო 27 მაისს სათვის და რომელი საათისათვის. მან მიპასუხა: "განა შემიძლია ვთქვა, რომ არ ვიცოდი? როდისაც 26 მაისს, ღამით დასაძინებლად ვწვებოდით, ჩემს ცოლს ვეუბნები: ადრე დილით რაღაც მოხდება, მოხდა კიდეც, ე.ი. ვიცოდით"[69].

ეროვნული ბიბლიოთეკა

КРАТКАЯ ИСТОРИЯ ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕРЕВОРОТА 27 МАЯ 1980 г. В ТУРЦИИ

Резюме

Серия военных переворотов, которые произошли в Турции с 1960 по 1980 гг. с интервалом около 10 лет, имели глубокие экономические, социальные и политические корни. Сравнительная стабильность положения, которая была достигнута при жизни Кемаля Ататюрка, продолжалась до середины 40-х годов. После окончания Второй мировой войны появились первые признаки дестабилизации. Попытка аграрной реформы, а также демократизация политической системы, выразившаяся в введении многопартийной системы, не оказались достаточными, чтобы остановить процесс дестабилизации политического положения в стране.

Пришедшая к власти в 1950 г. в результате всеобщих выборов в меджлис Демократическая партия Турции в основном продолжала как внешнюю, так и внутреннюю политику Народно-республиканской партии. Ряд авторов, в том числе турецких, утверждают, что Демократическая партия в период своего десятилетнего правления якобы отошла от политического курса Ататюрка, в частности, от одного из основополагающих принципов кемализма - этатизма. В действительности никакого принципиального отхода не было. Если в смешанной экономике, созданной в результате осуществления принципа этатизма, Народно-республиканская партия отдавала приоритет государственному сектору, то Демократическая партия частному, однако принцип смешанной экономики, заложенный в основу кемалистского этатизма, оставался неизменным. Этатизм Кемаля Ататюрка не является окостенелой доктриной, она весьма эластична, и, сообразно со временем и обстановкой, менялась и экономическая политика Демократической партии являющаяся лишь одной из модификации кемалистского этатизма.

го языка с командованием вооруженных сил Турции, тем более ухудшилось материальное положение офицерского корпуса. Особенно обострились отношения А.Мендереса с высшим командным составом армии после 1954 года. Именно с этого времени начинают создаваться офицерские антиправительственные группы, требующие проведения реформ в армии. С создания подобных групп и начинается то движение, которое привело к организации заговора офицеров, совершивших государственный переворот 27 мая 1960 г. По имеющимся материалам можно считать установленным, что истоки заговора ведут к организации, созданной группой курсантов военно-летнего училища в г.Тузла в мае 1954 г. во главе с капитанами Дюндаром Сейханом и Орханом Джабибаем. В первое время они сами не очень четко представляли чего хотят. А идеи о реформах в армии, с которыми они носились, были слишком расплывчатыми. Они не представляли также пути, который привел бы к осуществлению их планов. Лишь в 1957 году они избрали путь вооруженного восстания. Был намечен и ориентировочный план восстания. В числе офицеров, составлявших группу заговорщиков, не было ни одного, который выделялся бы среди остальных своим жизненным опытом и авторитетом. Поэтому было решено просить возглавить группу кого-либо из уже известных военных авторитетов. В числе подобных кандидатов были Исмет Иненю и генерал Неджат Теджан. Но первый отказался, второй умер. В конце концов выбор пал на генерала Джемала Гюрселя. Был избран руководящий комитет.

Парламентские выборы 1954 года показали тенденцию падения популярности Демократической партии. Подобная тенденция продолжалась в последующие годы, что подтвердили выборы 1957 г. Появились все симптомы приближающегося кризиса.

Практическая подготовка к вооруженному восстанию началась в декабре 1959 года. Но четкого, согласованного между всеми участниками заговора плана еще не было, не было также решено, какие шаги должно было предпринять новое правительство после захвата власти.

С начала 1960 года обстановка в Турции стала накаляться. Начались столкновения между враждующими политическими группировками, между сторонниками Народно-республиканской и Демократической партий. Столкновения происходили как на уровне рядовых членов, так и между депутатами меджлиса. Особую активность в антиправительственных выступлениях принимало студенчество. Ввиду резкого обострения внутриполитической обстановки в стране была создана специальная

парламентарская комиссия. Антиправительственная оппозиция обвиняла правительство Баяра-Мендереса в том, что оно отказалось от демократических методов правления. В конце апреля 1960 года в Стамбуле в результате разгона полицией студенческой демонстрации имелись жертвы, что еще больше обострило итак накаленную атмосферу. В мае демонстрации и столкновения продолжались. Группа офицеров, готовившая государственный переворот, не была связана с широкими народными массами и никакого непосредственного участия в антиправительственных выступлениях не принимала. Однако нарастающие стихийные выступления студенчества и примкнувшего к нему населения могли привести к непредвиденным результатам. События вынудили офицеров, участвовавших в заговоре, ускорить вооруженное выступление. В создавшейся обстановке только военный переворот и установление военного контроля в стране могли стабилизировать положение и ликвидировать опасность дальнейшего обострения кризиса, который мог иметь непредсказуемые последствия, вплоть до угрозы социальному строю государства.

27 мая на рассвете танки вошли в Стамбул и в Анкару, заняв узловые пункты. От имени Комитета национального единения, в который вошли офицеры, стоявшие во главе восстания, выступивший по радио полковник Алпарслан Тюркеш объявил о падении правительства Демократической партии и о переходе всей полноты власти в руки Комитета.

Переворот был совершен сравнительно небольшой группой офицеров, победа которым досталась легко, без какого-либо серьезного сопротивления. Переворот имел верхушечный характер. Среди турецких историков нет единого мнения о том, был ли переворот результатом заговора лишь офицеров-фанатиков или же закономерным результатом политики, проводимой Демократической партией. Безусловно, исполнителями переворота были офицеры и совершали они этот переворот не вместе с массами, а в отрыве от них. Но нельзя упускать из виду, что совершившая переворот группа офицеров поднялась на гребень народного антиправительственного движения, которое, со своей стороны, являлось результатом серьезного социального и экономического кризиса, охватившего всю страну.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და შენიშვნები

1. A y d e m i r S.S. Menderesin drami Istanbul, 1976,s.170.
2. იქვე. გვ. 170
3. იქვე. გვ. 173.
4. K o c a t ü r k U. Atatürkün Fikir ve Düsünceleri.Ankara, 1984,s.251.
5. B a r a t a y K. Türkiyede Devletcilik. Ankara, 1982,s.96.
6. იქვე.
7. Р о з а л и е в Ю.Н. Экономическая история Турецкой республики. М.,1980, с.111.
8. იქვე. გვ. 109-111.
9. ბ ა რ ა თ ა ი ქ. დასახ. ნაშრომი. გვ. 100.
10. იქვე.
11. იქვე.
12. იქვე.
13. საქართველოს მენშევიკური მთავრობის მისიის მეთაურთან სვიმონ მდივანთან საუბარში 1921 წლის თებერვალში ქემალ ათათურქმა განაცხადა: "თურქეთის დიდი ეროვნული კრება თავისი პროგრამით ახლოს დგას სოციალ-დემოკრატიასთან". - შ ა ღ ი კ ა შ ვ ი ლ ი დ. საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში.-ჟურნალი "კავკასიონი" №17, პარიზი, 1972-1973, გვ. 149.
14. П о ц х в е р и я Б.М. Внешняя политика Турции после второй мировой войны. М.,1976, с.16.
15. К р е е в Н.Г. Развитие капитализма в Турции,-А критике

ეროვნული ბიბლიოთეკა

теории "смешанной экономики", М.,1982, 164.
16. იქვე. გვ. 162.
1. . იქვე.
18. К и р е е в Н.Г., დასახ. ნაშრომი. გვ. 162.
19. S a y i l g a n A. Türkiyede sol hareketleri. Istanbul, 1976,s.301.
20. იქვე. გვ. 302,309.
21. T a y l a k M. Ögrenci hareketleri. Ankara, 1969, s.230.
22. ფ ა ი ლ ა ქ. დასახ. ნაშრომი. გვ. 218.
23. Adnan Menderesin konusmalari. C.I. Istanbul, 1956,s.15.
24. იქვე.
25. Ö z g ü r O. 100 soruda Türkiyede kapitalizmin gelismesi. Istanbul, 1972, S. 92; Розалиев Ю.Н.,
26. Р о з а л и е в Ю.Н.
27. იქვე. გვ. 253.
28. იქვე. გვ. 254.
29. Მ Ო Ნ Დ Ე Რ Ე Ს. დასახ. ნაშრომი, გვ. 13.
30. იქვე. გვ. 74.
31. G ü n e r A.O. Türkiyenin kalkinmasi ve iktisadi devlet tesekküller. Istanbul, 1978, s.65.
32. I p e k c i A.-C o s a r Ö.S. Ihtilâlin icyüzü. Istanbul, s.27.
33. იქვე.
34. იქვე.
35. იქვე.
36. იქვე. გვ. 30.
37. იქვე.
38. იქვე.
39. იქვე. გვ. 62-63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. იქვე. გვ. 102.

41. იქვე. გვ. 104.

42. იქვე. გვ. 106-107.

43. იქვე. გვ. 112-113.

44. E r g ü d e r Ü.Türkiyede değisen secmen davranisi örün-
üleri,Türk iyasal hayatinin gelisimi.Istanbul,1986,s.338-339.

45. იქვე. გვ. 333

46. K o n g a r E. Toplumsal Değisme kurumlari ve Türkiye ger-
ceği. Ankara, 1979, s. 191.

47. იქვე. გვ. 391.

48. იქვე. გვ. 391.

49. იქვე. გვ. 193.

50. ე რ გ ი უ დ ე რ. დასახ. ნაშრომი. გვ. 336.

51. ა ი დ ე ზ ი რ. დასახ. ნაშრომი, გვ. 230.

52. იქვე.

53. იქვე. გვ. 231.

54. ქ ო ნ გ ა რ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 396.

55. იქვე. გვ. 396.

56. იქვე. გვ. 396.

57. L a n d a u J.M. Prof.Türkiyede sağ ve sol akimlar. Ankara,
1979, s.5.

58. იქვე. გვ. 6.

59. იქვე. გვ. 6.

60. იქვე. გვ. 113.

61. იქვე. გვ. 124.

62. იქვე. გვ. 132.

63. იქვე. გვ. 133.

64. ფ ა ი ღ ა ქ ზ. დასახ. ნაშრომი. გვ. 274.

ეროვნული ბიბლიოთეკა

65. ი ზ ე ტ ჩ ი ა- ჯ ო შ ა რ ი დასახ. ნაშრომი. გვ.276.

66. იქვე. გვ. 279.

67. იქვე. გვ. 205.

68. K..ü c ü k Y. Türkiye üzerine tezler. Ankara, I979,s.535.

69. Arcayürek Cüneyt açikliyor - 3. Bir Iktidar bir Ihtilâl, I984, s.I30.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Отар Исидорович Гигинеишвили

КРАТКАЯ ИСТОРИЯ ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕРЕВОРОТА
27 МАЯ 1960 Г. В ТУРЦИИ

(на грузинском языке)

Тбилиси
"Мецниереба"
1989

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4321

გამომცემლობის რედაქტორი ლ.ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
მხატვარი ნ.გ ა ბ უ ნ ი ა
მხატვრული რედაქტორი გ.ღ ო მ ი ძ ე
ტექრედაქტორი ც.ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
კორექტორი მ.მ ა ხ ა რ ა ძ ე
გამომშვები ე.მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 23.01.1989; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.12.1988
ქაღალდის ზომა 60X84 1/16; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური
პირობით საბეჭდი თაბახი 3.5
პირ. საღ. გატ. 3.88; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2.48

უე 02555; ; ტირაჟი 500 ; შეკვეთა № 246

ფასი 50 კაპ.

გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство "Мецниереба",Тбилиси, 380060, Кутузова,19
საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა,თბილისი 380060,კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз.ССР, Тбилиси ,380060, ул.Кутузова.19

ი 246/ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკ